# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 13 ნოემბერი, 2009 წელი.

№ 230 (6330)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## რატომ ალაპარაკდა ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი?

— ხელისუფლების შენარჩუნების ამოცანა გარკვეული წლები იმუშავებს. რასაკვირველია, ადამიანის უფლებების დაკნინების ხარჯზე. საბოლოო ჯამში ეს კარგთან არ მიგვიყვანს. ერთი ნაწილი დამთავრდა — ტერიტორიების დაკარგვით და შეიძლება რუსეთს კიდევ სხვა გეგმები აქვს. ვთქვათ, ის რიტორიკა, რომელსაც ის აწარმოებს — მუდმივი დესტაბილიზაციის მოლოდინი, მეორე ნაწილი — შეიძლება იყოს სამოქალაქო დაპირისპირება.

**კობა ნარჩემაშვილის პოლიტიკური კლიშე**

3-4

## ნინო ჯავახიშვილი-95



ქალი საუკუნეში

### „იღბალი არაფერ შუაშია. შრომაა მთავარი...

უდიდეს მეცნიერს, შესანიშნავ პიროვნებას და დიდ მამულიშვილს ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს გულითადად ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს.

ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა ასეთი შვილით.

ღმერთმა დალოცოს ქალბატონი ნინო და კვლავაც მრავალჟამიერ ერთგულად ამსახუროს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

იხ. 6-7 გვ.






## ბენდუქიძე უროლოგიის ცენტრსაც მიუჯდა?!

5

## სააკაშვილი რევანშს ამზადებს?



8

## რატომ არის საქართველოს ისტორია გვერდის როლში?

2

## ხელისუფლება ებრალიძის წინაალმდეგ

3

მოძრაობა „7 აგვისტო“ და სტუდენტები — გატაცებული ბავშვების დასაბრუნებლად

2

## გრიპი გვიახლოვდება, რას გირჩევდით?

9



№ 230. პარასკევი, 13 ნოემბერი, 2009 წელი.

ინფორმაცია

# მოძრაობა „7 აგვისტო“ და სტუდენტები — გატაცებული ბავშვების დასაბრუნებლად



**მოძრაობა „7 აგვისტო“ სტუდენტურ თვითმმართველობებთან ერთად, ტირძნისიდან გატაცებული ქართველი ბავშვების გათავისუფლებაში დახმარებას დიპლომატიურ კორპუსს სთხოვს.**

ამ საკითხთან დაკავშირებით, მოძრაობამ გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრესკონფერენცია გამართა. „7 აგვისტომ“ და სტუდენტურმა თვითმმართველობებმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებისთვის სპეციალური მიმართვა შეიმუშავეს, სადაც დიპლომატებს ბავშვების გათავისუფლებაში დახმარებისათვის, ყველა მათ ხელთ არსებული რესურსებისა და საშუალებების გამოყენებას სთხოვენ.

* * *

**ტირძნისიდან გატაცებული ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ამის შესახებ ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაცია წითელი ჯვარი ავრცელებს.**

ბოლო ინფორმაციით, ალეკო ცაბაძეს ფილტვების ანთება, ვიქტორ ბუჩუკურს კი ცრუკრუპი აქვს. მძიმეა ლევან ხმიადაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაც. დაკავებულს ტუბერკულოზი აქვს გადატანილი.

ბავშვებს თბილისიდან საკვები პროდუქტი და ტანსაცმელი გაუგზავნეს, რომელსაც წითელი ჯვარი ცხინვალის იზოლატორში შეაგზავნის.

ჯი-ეიჩ-ენი

ვაიმე, მამულო!

## „მომკვდარ ერთა“ სიაშიც შეგვიყვანეს

**გაერომ საქართველო „მომკვდარ ერთა“ რიგებში ჩარიცხა.**

ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა იოსებ შატბერაშვილმა პარტიის ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— სააკაშვილის რეჟიმმა ერი საბოლოოდ დააყენა გადაშენების წინაშე, უახლოეს პერიოდში არ არის გამორიცხული საქართველოში ქართველები ეთნიკურ უმცირესობებში აღმოვჩნდეთ, — აღნიშნა შატბერაშვილმა.

მისივე თქმით, ქვეყანაში მოსახლეობის მიგრაცია გრძელდება. ლეიბორისტების ინფორმაციით, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა რაოდენობამ 2009 წელს 27 000 მიაღწია.

შატბერაშვილი ბავშვთა სიკვდილიანობის თემასაც შეეხო და საქართველოს პარლამენტს მოუწოდა, მომავალი წლის ბიუჯეტში 20-25 მილიონი ლარი გაითვალისწინოს, რომელიც საქართველოში მშობიარობის ხარჯებს სრულად დაფარავს.

ექსპრესნიუსი

დროის ექო

## ბაღაფშმა ანქვაბი გაათავისუფლა



აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების პერიოდში პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლა.

აფხაზური მხარე განმარტავს, რომ სერგეი ბაღაფშის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაკავშირებულია იმასთან, რომ ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატადაა წარდგენილი. პრემიერ-მინისტრის მოვალეობების შესრულება ე.წ. პირველ ვიცე-პრემიერს ლეონიდ ლაკერბაიას დაევალა.



## ცვლილებები კოკოითის გარემოცვაში

ოს სეპარატისტთა ლიდერის ედუარდ კოკოითის ე.წ. ხელისუფლებაში ცვლილებებია. ახალ დანიშვნებთან დაკავშირებით ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა საგანგებო თათბირი ჩაატარა.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ჩატარებული თათბირის შედეგების მიხედვით სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ვინმე დომენტი კულუმბეგოვი დაინიშნა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის კულტურის ე.წ. მინისტრად ვინმე მახარბეგ კოკოევი დაინიშნა, ხოლო განათლებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის ახალ ე.წ. მინისტრად ედუარდ კოკოითმა არიანა ჯიოევა.



აღსანიშნავია ასევე, რომ ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა თანამდებობიდან გაათავისუფლა ცხინვალის ე.წ. მერი რობერტ გულიევი და მის ნაცვლად ცხინვალის ე.წ. მერად გერასიმე ხუგაევი დანიშნა.

ჯი-ეიჩ-ენი

განცხადება

# ითხოვენ ლარსის პუნქტის გახსნას

**დეპუტატი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ფუნქციონირების განახლება აუცილებელია და ხელისუფლებას მისი გახსნისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ განცხადება ბაღათურიამ გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.**




მისი თქმით, ლარსის გახსნა აუცილებელია და საკუთარი მოსაზრების არგუმენტად იმას ასახელებს, რომ ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ამოქმედებაზე მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობა სოციალურად არის დამოკიდებული. გარდა ამისა, მისივე თქმით, სასაზღვრო პუნქტის გახსნით დაინტერესებულია სომხეთი და აზერბაიჯანი.

რაც შეეხება ლარსის ფუნქციონირების განახლებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს, ბაღათურია მიიჩნევს, რომ „რა თქმა უნდა, საფრთხე გაიზრდება, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია,“ — კითხულობს ბაღათურია და აცხადებს, რომ ამ პრობლემის მოსახსნელად „მთავარია, მებაჟეებმა იმუშაონ დიდი სიფრთხილით.“

რთული პროცესი

# შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, კარასინი კი კმაყოფილია

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ჟენევის საერთაშოროსო მოლაპარაკებებზე რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი გრიგორი კარასინი გამართული მოლაპარაკებების კომენტირებისას აცხადებს, რომ „ჩატარებულ მოლაპარაკებს მთლად ტყუილად არ ჩაუვლია“.**

— მართალია, ძალიან შორს არა, მაგრამ რიგ საკითხებთან მიმართებაში ცოტათი წინ მაინც წავიწიეთ. მაგალითად, მუშაობას აგრძელებენ ინციდენტებზე რეაგირების სამუშაო მექანიზმები და მათზე მრავალი კონკრეტული საკითხი წყდება, — აცხადებს კარასინი და დასძენს, რომ ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების ამ რაუნდზე საკმაოდ მწვავედ დაისვა ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის გაფორმების საკითხი და ძირითადი წინააღმდეგობა მის ირგვლივ ქართულ, აფხაზურ და სამხრეთოსურ დელეგაციებს შორის წარმოიშვა.

— ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ამ დოკუმენტზე ზემოთ დასახელებულ მხარეებს სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ, — აცხადებს კარასინი.

სერგეი ლავროვის მოადგილე ასევე აცხადებს, რომ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისკენ მიმავალი პროცესი რთული იქნება, რაზეც, მისი თქმით, „ამ საკითხის ირგვლივ უკვე გამართული აზრთა ურთიერთგაცვლაც მეტყველებს“.

ჯი-ეიჩ-ენი

დროის ექო

## საპროტესტო აქცია სიღნაღში

**სიღნაღში** მუშებმა საპროტესტო აქცია გამართეს. 30-მდე ადამიანი, რომლებიც სიღნაღში სარეაბილიტაციო სამუშაოებზე იყვნენ დასაქმებულნი, სამშენებლო კომპანია „თბილისისგან“ კუთვნილ ხელფასს მეათე თვეა უშედეგოდ ითხოვს.

აქციის მონაწილეებს მხარდაჭერა „ახალი მემარჯვენეების“ სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მალხაზ ხუციშვილმაც გამოუცხადა.

— სიღნაღის გამგებელმა მუშებს ხელფასების გადახდის პირობა მაისში მისცა, მაგრამ მოატყუა. ხალხი ლუკმაპურის გარეშეა დარჩენილი, ამუშავეს და ანაზღაურებას არ აძლევენ. სამშენებლო კომპანიები, რომლებიც ხელფასს არ იხდიან, „ნაციონალურ მოძრაობას“ ეკუთვნის და მისი დამფუძნებლები პარლამენტში სხედან, მამუკა ჩარკვიანის სახით, თორემ ამ ხელისუფლებას იმდენად კარგად ეხერხება ბიზნესის დაწიოკება, აქამდე თანხებს ათჯერ გადაახდევინებდნენ, — განაცხადა ხუციშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში.

ჯი-ეიჩ-ენი

SIC!

# რატომ არის საქართველოს ისტორია გერის როლში?



**პრესაში გამოქვეყნდა განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომავალი წლიდან ეროვნული გამოცდები სამი საგნის ნაცვლად ჩატარდება ოთხ საგანში. ეს სამი საგანია: უნარჩვევები, ქართული და უცხო ენა. თუ სიმართლეს ვიტყვით, უნარჩვევები ყურით მოთრეული საგანია და ფაქტიურად იგი არაფერს არ იძლევა. სამწუხაროდ, პრიორიტეტი დასახელებულ საგნებს შორის მას აქვს. მომავალში მეოთხე სავალდებულო საგანი სასწავლებლის ხელმძღვანელობამ შემდეგი შვიდი საგნისაგან უნდა ამოირჩიოს. ესენია: მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ისტორია, ლიტერატურა და გეოგრაფია.**

ამ ჩამონათვალიდან გაურკვეველია, რომელი ისტორია იგულისხმება, მსოფლიო ისტორია თუ საკუთრივ საქართველოს ისტორია. სამწუხაროდ, დღეს საქართველოს ისტორია არც საჯარო სკოლებში და არც უმაღლეს სასწავლებლებში სათანადო დონეზე არ ისწავლება, მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების დროს მას სათანადო ყურადღება ექცეოდა სკოლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი ყველა ფაკულტეტზე ისწავლებოდა. ახლა საჯარო სკოლებში საქართველოს ისტორია, როგორც დამოუკიდებელი საგანი მხოლოდ მე-9 კლასში ისწავლება, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. რაც შეეხება მე-11 და მე-12 კლასებს, იქ საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიასთან ერთად ისწავლება. საინტერესოა, რატომ არის ასე იგნორირებული საკუთარი ქვეყნის ისტორია და რატომ მეტი ყურადღება არ ექცევა მას. ჩვენისთანა მდიდარი წარსულის მქონე ქვეყანაში, მისაღები გამოცდების საგნების რეესტრში, პრიორიტეტი აუცილებლად ქვეყნის ისტორიას და მშობლიურ ენას უნდა მიენიჭოს, ამის შემდეგ კი სხვა საგნებს.

ფაქტია, რომ ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებელი ერი ვართ, ვისაც უძველესი დამწერლობის ძეგლები და საკუთარი ანბანი გააჩნია. ასევე ამაყობენ თავიანთი წარსულით ჩვენი მეზობელი სომხებიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი საკუთარი ერის ისტორიას სათუთად ეპყრობიან როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში და მისაღებ გამოცდებზეც. სხვათა შორის, ამ მხრივ იდენტური სიტუაცია არის მეზობელ აზერბაიჯანშიც. ჩვენთან კი მავანის და მავანის წყალობით ზურგი შეაქციეს საქართველოს ისტორიას, რასაც ალბათ მომავალი თაობა არ გვაპატიებს. ამ საქმეს დროზე შველა სჭირდება.

**დურმიშხან ცინცაძე**

№ 230. პარასკევი, 13 ნოემბერი, 2009 წელი.

დრონი შეფობენ

***რაც მთავარია, ის საქართველოდან არ გაქცეულა. და ვინაიდან ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს საქართველოში დაედგომება, ალბათ, არც თუ ისეთი ურიგო „შავი საქმე“ ჰქონია. კობა ნარჩემაშვილის სახელი ადვილად შეიძლებოდა საქართველოს მოქალაქეების დაღვრილ სისხლთან ასოცირებულიყო, მაგრამ მაშინ ამ მძიმე ლაქას გადაურჩა. რას ფიქრობს ის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ქვემოთ საკმაოდ ვრცლად და გულახდილად გვესაუბრება.***

# რატომ ალაპარაკდა ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი?

## კობა ნარჩემაშვილის პოლიტიკური კლიშე



**— ბატონო კობა, ბოლო ორი კვირის მანძილზე საკმაოდ პოპულარული რესპონდენტი გახდით მედიისთვის. რამ გამოიწვია თქვენი გააქტიურება პრესაში?**

— ვერ ვიტყვით, რომ ეს არის პოლიტიკური გააქტიურება. რაც შეეხება ჟურნალისტებთან ურთიერთობას, კონტაქტი არასოდეს გამიწყვეტია. ამ ბოლო დროს ეს იმიტომ მოხდა, რომ დამაკავშირეს ახალ პოლიტიკურ მოძრაობას „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“.

**— „დამაკავშირეს“, რას ნიშნავს, ხელოვნურად მოხდა?**

— დამაკავშირეს იმიტომ, რომ გია ჟორჟოლიანთან კარგი მეგობრული ურთიერთობა მაქვს. თანაც ბოლო ექვსი წელიწადი არაფერს ვაკეთებ იმის გარდა, რომ თვალყურს აქტიურად ვადევნებ პრესასა თუ ტელევიზიას და დაინტერესებული ვარ პოლიტიკით. ჩემი და გიას საუბრები ქვეყნის მომავალზე, მის განვითარებაზე ერთმანეთს ემთხვეოდა — ეს იყო მემარცხენე-ცენტრისტული იდეოლოგია. მისი პროგრამის ფორმირებაში რაღაც წვლილი მეც მიმიძღვის.

**— ე.ი. თქვენი კავშირი ახალ პარტიასთან არ ყოფილა მთლად უსაფუძვლო?**

— მე არა ვარ საინიციატივო ჯგუფის წევრი. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ სოციალური სახელმწიფოს აშენებაშია ჩვენი გამოსავალი. თუმცა მე დღეს პოლიტიკაში არა ვარ, ხვალ რა იქნება, არ ვიცი.

**— რატომ არა ხართ პოლიტიკაში, მით უმეტეს მეგობრობთ გია ჟორჟოლიანთან და თქვენი იდეოლოგია ერთმანეთის თანხვედრია. ხელს რა გიშლით?**

— რატომ არ ვარ? გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ პოლიტიკა არის უზარმაზარი პასუხისმგებლობის სფერო და თუკი ამ პასუხისმგებლობას ბოლომდე გაითავისებ, არა მგონია, პოლიტიკაში შებიჯება ადვილი იყოს. ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია, თუმცა არც იმას დაგიმალავთ, რომ სერიოზულად ვფიქრობ. მაგრამ არ მინდა, ვინმემ მხარი დამიჭიროს ან არ დამიჭიროს ჩემი პერსონის გამო. წინა პლანზე უნდა იყოს იდეა, პროგრამა და არა პიროვნული საკითხი.

**— პროგრამას ისედაც არავინ კითხულობს...**

— ზუსტად ეს არის უბედურება. ამ დილემის წინაშე დგას დღეს საზოგადოება და ოპოზიციური კრიზისიც ამით არის განპირობებული. არ არსებობს ერთი სტრატეგიული ამოცანა. თუკი არის, ეს არ გულისხმობს მათი პროგრამების მიწოდებას საზოგადოებისთვის, არამედ ამბობენ — თუ რა ცუდია სააკაშვილი.

**— თქვენ რას ფიქრობთ სააკაშვილზე?**

— ჩემი აზრით, ცუდია-კარგიას პრინციპით არ შეიძლება ამ საკითხს მიუდგე. მე მაქვს ასეთი გაგება — ის ან უნდა იყოს ხელისუფლებაში, ან არა. ვინაიდან ამ ხელისუფლებამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, რაც აგვისტოს ომით დააგვირგვინა, ის არ უნდა იყოს. წესით, ის თვითონ უნდა წასულიყო.

**— არანაკლები შეცდომები ჰქონდა შევარდნაძის ხელისუფლებას, მაგრამ მას არ უცდია თავისით წასვლა.**

— მე პასუხს ვაგებ შევარდნაძის ხელისუფლების ბოლო პერიოდზე. მას მართლაც იმდენი პრობლემა დაუგროვდა, რომ თავისით წავიდა.

**— წავიდა? თუ რევოლუციურად გაუშვეს?**

— შევარდნაძეს რომ არ მოენდომებინა წასვლა, ვერავინ გაუშვებდა.

**— თქვენ რას ურჩევდით მაშინ, ნოემბრის დღეებში?**

— გააჩნია, რას ვურჩევდი, პირობითად 2003 წლის 5 ნოემბერს და რას ვურჩევდი 22 ნოემბერს, სულ სხვადასხვა გარემოება და ვითარება იყო.

**— 5 ნოემბერს რას ეუბნებოდით?**

— მაშინ საჭირო იყო უფრო სალად შეეხედა ხელისუფლებას არჩევნების იმ შედეგებისთვის, რომელიც რეალურად იყო, სამწუხაროდ, ეს არ გააკეთეს.

**— ანუ არჩევნები გაყალბებული იყო?**

— არჩევნები ხარვეზებით ჩატარდა, გაყალბების ფაქტებიც იყო, პრინციპში მერე შეეცადნენ რაღაცის შეცვლას. თუ გახსოვთ შედეგების გამოქვეყნება დაგვიანდა, რაც არ იყო საჭირო. უნდა დაედოთ ის მონაცემები, რაც რეალურად იყო... ალბათ, ვიღაცებმა ურჩიეს შევარდნაძეს, რომ ასე გაეკეთებინა...

**— 22 ნოემბერს უკვე რა რჩევებს აძლევდით?**

— გადაეყენებინა მთავრობა და დაენიშნა ახალი არჩევნები. ის თუ ამას გააკეთებდა, ვფიქრობდი, ვითარება განიმუხტებოდა.

**— შინაგან საქმეთა სამინისტროში რა ხდებოდა?**

— ჩემს სამინისტროს თავიდან ბოლომდე ვაკონტროლებდი. არანაირი პრობლემა არ იყო. ჩვენ შევასრულებდით იმ ბრძანებას, რასაც მივიღებდით. მართალია, იყო ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი, რომელიც გადიოდა კონტაქტზე მომავალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან — ჟვანიასთან, სააკაშვილთან, კიწმარიშვილთან...

**— ვინ იყვნენ ისინი?**

— მაგალითად, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. იყვნენ უშიშროებიდან, სხვა სამინისტროებიდანაც.

**— შეიძლებოდა თუ არა 23 ნოემბერს სისხლი დაღვრილიყო?**

— როგორ არ შეიძლებოდა, ამასთან ძალიან ახლოს ვიდექით. შევარდნაძეს ყოველთვის ძალუმად ჰქონდა პასუხისმგებლობის გრძნობა, მაგრამ იმ დღეებში განსაკუთრებულად გამოავლინა. მისმა პასუხისმგებლობამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობამ გადაგვარჩინა სისხლისღვრას. იქ ისეთი რამეების აცილება მოხერხდა, რასაც არ ველოდი. ჩვენ ახლოს ვიდექით სამოქალაქო დაპირისპირებასთან.

**— ბატონო კობა, თუკი ბრძანება იქნებოდა, რომ თქვენ მომიტინგეები დაგერბიათ, რას იზამდით, მით უმეტეს ამბობთ, ბრძანების შესასრულებლად მზად ვიყავითო?**

— როცა პარლამენტი და კანცელარია დაკავებული იყო, თათბირი ჩატარდა, სადაც შევარდნაძემ ასე დასვა საკითხი — შეიძლება თუ არა ამ შენობების გათავისუფლებაო. ვუთხარი, რომ ამის ძალები გვაქვს და შეგვიძლია-მეთქი. რასთან იქნება ეს დაკავშირებულიო? ავუხსენი, რომ ეს იქნებოდა დაკავშირებული სისხლისღვრასთან. იქ „ვარდების“ გარდა იყო შეიარაღება, „ბრონეჟილეტები“... მსხვერპლი რამდენი იქნებოდა, ამის განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია. ასეთი სავარაუდო პროგნოზის შემდეგ, შევარდნაძემ თქვა, რომ მე არ მიღირს თანამდებობის შენარჩუნება მოქალაქეების სისხლისღვრადო.

**— როგორ გახდით შინაგან საქმეთა მინისტრი, თანაც შელახული რეპუტაციის ორგანოში...**

— შელახული იმიჯი მართლაც ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთელი ის პერიოდი მოვახმარე იმას, რომ მეტი კომუნიკაბელურობა ყოფილიყო, მეტი ინფორმაცია გასულიყო ჩვენგან. რატომ შეაჩერეს ჩემზე არჩევანი ნამდვილად ვერ გეტყვით.

**— მაშინ რამდენი წლის იყავით?**

— 32 წლის.

**— პატარა ყოფილხართ. ე.ი. რევოლუციური მთავრობის დამსახურება არ ყოფილა ახალგაზრდა კადრების ბუმი?**

— ამაში არაფერია ცუდი. თუკი შენი ახალგაზრდობით შენს ქვეყანას თავსატეხს არ გაუჩენ, რა პრობლემაა?!

**— რატომ არ შეგეხნენ, ბატონო კობა, რევოლუციის შემდეგ?**

— როგორ არ შემეხნენ, 3 თვე დაჭერილი ვიყავი.

**— მერე თავისუფლად გამოგიშვეს, თუ თანხა მიგატანინეს?**

— ოო, მე მედავებოდნენ მომწამვლელი გაზის შემოტანას ქვეყანაში. მაგრამ ეს აბსურდული ბრალდება იყო, დღეს ამ მხრივ რეაბილიტირებული ვარ.

**— არა გაქვთ შიში, რომ შესაძლოა ისევ მოგიბრუნდნენ?**

— მეტყობა რამე იმის, რომ დაზაფრული ვიყო. არც ერთი წუთით არ დამიტოვებია ქვეყანა და არც ვაპირებ.

**— ბატონო კობა, თქვენი მინისტრობის დროს, მე, თუნდაც ერთი პიროვნება არ ვცხოვრობდი სტაბილურობის განცდით, მუდმივად მეშინოდა...**

— ჰოო, და რისი გეშინოდა?

**— მეშინოდა, რომ მობილურს მომპარავდნენ, სახლში შემომივარდებოდა ყაჩაღი, მანქანას ქუჩაში ვერ ვაჩერებდი, იმიტომ, რომ შეიძლებოდა რამდენიმე საათში გალში, ან პანკისში გადაეყვანათ. დღეს მსგავსი პრობლემები არ აწუხებს საზოგადოებას, შედარებით დაცულია მოქალაქეთა უსაფრთხოება. თქვენ ვერ ამჩნევთ ამას?**

— თუ თქვენ ახლა უფრო მშვიდად გრძნობთ თავს, ეს თქვენი პრობლემაა. მე მიმაჩნია, რომ თუ რაღაცა არის უკეთესად, სხვა რაღაცა კიდევ უფრო უარესადაა.

მაშინ სამართლის პოვნა უფრო შეიძლებოდა, ვიდრე დღეს.

**— არ შეიძლებოდა ყოფილიყო მაშინაც სტაბილურობა, რა გიშლიდათ ხელს?**

— არაფერი არ გვიშლიდა... უბრალოდ, აი, ახლა შემიძლია აგიხსნათ: ხელისუფლებას აქვს ორი ძირითადი ამოცანა: ერთია ადამიანის უფლებები და მეორეა — სახელმწიფოს ინტერესი. ძნელია ამ ორ პოსტულატს შორის ოქროს შუალედის შენარჩუნება. თუკი ადამიანის უფლებები წამოიწევს წინ, აუცილებლად დაზარალდება სახელმწიფოს ინტერესი. ჩვენი ხელისუფლების პრივილეგია იყო ადამიანის უფლებები, დღეს ტოტალიტარული ინტერესები სჭარბობს.

**— ასე ხდება დიდი დემოკრატიის ქვეყნებშიც?**

— ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკში ან საფრანგეთში, პარიზში არის ისეთი უბნები, სადაც საერთოდ ვერ შედის პოლიცია. ასე რომ, მთავარია, რას აირჩევს საზოგადოება, ადამიანის უფლებებს თუ... ტოტალიტარულ რეჟიმს.

**— ვინ არის შინაგან საქმეთა მინისტრი მერაბიშვილი. რა გზას დაადგა ის, თქვენი შეფასებით.**

— სააკაშვილმა მოახდინა ხელისუფლების შიგნით ცენტრალიზაცია, ვერტიკალიზაცია, რათა ასეთი გზით შეინარჩუნოს ხელისუფლება. ამ ამოცანის გამო გაერთიანდა შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროება და საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. ამ უწყებაში ძალიან სერიოზულმა ოპერატიულმა შესაძლებლობებმა მოიყარა თავი და ინფორმაციულად მართლაც სერიოზული ორგანიზმია.

**— ვინ არის უფრო ძლიერი, სააკაშვილი თუ მერაბიშვილი?**

— ინფორმაციულად მერაბიშვილი, მაგრამ გავლენითა და შესაძლებლობებით სააკაშვილი.

**— მეტი ამბიციები რომ გაუჩნდეს მერაბიშვილს?**

— სწორედ ამიტომ ვარ წინააღმდეგი შსს-ს ამგვარი ფორმირების. პრეზიდენტს ყოველთვის უნდა ჰქონდეს საშუალება, გააჩნდეს ალტერნატიული ინფორმაციის წყარო.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## ხელისუფლება ებრალიძის წინააღმდეგ

**12 ნოემბერს, თბილისის აეროპორტში საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის რუსული ფილიალის ხელმძღვანელს საქართველოში შესვლაზე უარი ეთქვა, — ამის შესახებ ნათქვამია კონგრესის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.**

**— ალექსანდრე კინტერაია ჩამოვიდა ვენიდან, სადაც კონგრესის შტაბბინა მდებარეობს, იმ მიზნით, რომ დასწრებოდა კონგრესის თბილისის ფილიალის პრეზენტაციას. როგორც ყოველთვის, არშეშვების მიზეზი ახსნილი არ იყო. სინამდვილეში, ყველაფერი ძალიან მარტივია: ა. კინტერაიას საქართველოში ჩასვლა წარმოადგენდა საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის ალექსანდრე ებრალიძის ისტორიულ სამშობლოში ვიზიტის საბოლოო მოსამზადებელ ეტაპს, — ნათქვამია პრესრელიზში და აღნიშნულია, რომ ეს არ არის მხოლოდ პირველი არამეგობრული აქცია საქართველოს ხელისუფლებისგან ალექსანდრე ებრალიძის მიმართ.**

**— 2009 წლის 29 მაისს თბილისის აეროპორტში ადგილი ჰქონდა მცდელობას ხელი შეეშალათ რუსი იურისტის იური ნოვოლოდსკის ქვეყნიდან გასვლისათვის, რომელიც საქართველოში ალექსანდრე ებრალიძის იურიდიული წარმომადგენლის სტატუსით იყო ჩამოსული. სასამართლოში მხოლოდ წინასწარი განხილვის სტადიაზეა ა. ებრალიძის მიერ შეტანილი სარჩელი იმ ცილისმწამებლური განცხადებების მიმართ, რომელიც პარლამენტის დეპუტატმა მმართველი პარტიიდან - გ. თარგამაძემ გააკეთა. 2009 წლის 26 ოქტომბერს ამოიწურა პასუხის მიღების კანონით გათვალისწინებული სამთვიანი ვადა, რომელიც ა. ებრალიძეს უნდა მიეღო მის მიერ პრეზიდენტის მიმართ გაკეთებულ განცხადებაზე მისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე. მაგრამ აქამდე არავითარი პასუხი არ არის მიღებული, — ნათქვამია პრესრელიზში და იქვე აღნიშნულია, რომ ალექსანდრე ებრალიძე, რომელმაც განაცხადა თავისი განზრახვა მონაწილეობა მიიღოს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში და რომელიც ხელმძღვანელობს მსოფლიო კონგრესს, თავის საქმიანობას საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის განუხრელად შესრულების საფუძველზე ანხორციელებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

დრონი შეფობენ

# რატომ ალაპარაკდა ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი?

(მესამე გვერდიდან)

ეს არ არის მხოლოდ სააკაშვილის ან მერაბიშვილის საკითხი, არამედ ეს უნდა იყოს სახელმწიფო ინტერესი. ხელისუფლება უნდა იყოს დანაწილებული. ამის კარგი მაგალითი იყო 8 აგვისტო, როცა აღმოვჩნდით აბსოლუტურ ინფორმაციულ ვაკუუმში.

**— ხომ არ გაგიჩნდათ ომში წასვლის სურვილი?**

— როგორ არ გამიჩნდა, მაგრამ მოვასწარით?!

**— ქვეყნის ამოცანა დღეს ხელისუფლების შენარჩუნებაა, როგორც ამბობთ უკვე საკმაოდ ძლიერი ინსტიტუტი გვაქვს საამისოდ. არის კი შანსი ამ ხელისუფლების გაშვების, ოპოზიცია რომ აპირებს?**

— ხელისუფლების შენარჩუნების ამოცანა გარკვეული წლები იმუშავებს. რასაკვირველია, ადამიანის უფლებების დაკნინების ხარჯზე. საბოლოო ჯამში ეს კარგთან არ მიგვიყვანს. ერთი ნაწილი დამთავრდა — ტერიტორიების დაკარგვით და შეიძლება რუსეთს კიდევ სხვა გეგმები აქვს. ვთქვათ ის რიტორიკა, რომელსაც ის აწარმოებს — მუდმივი დესტაბილიზაციის მოლოდინი, მეორე ნაწილი — შეიძლება იყოს სამოქალაქო დაპირისპირება.

**— რატომ აკეთებს ამას ხელისუფლება?**

— ამას ნამდვილად ვერ ვხვდები. შეიძლება მას უნდა, რომ მუდმივად მხარს უჭერდეს საერთაშორისო საზოგადოება, რადგან რუსეთიდან საფრთხე ემუქრება...

**— თქვენ როცა გქონდათ მუშაობაში ხარვეზები, რატომ ხდებოდა ასე. იქნებ იმიტომ უშვებს შეცდომებს ხელისუფლებაც და მიზანმიმართულად ეს არ ხდება?**

— შეცდომები მართლაც მქონდა, ამას არ უარვყოფ. ჩვენი ხარვეზი ის იყო, რომ დაძაბუნებული ქვეყნის მთავრობა ვიყავით, რომელმაც ვერ გაბედა რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, ვთქვათ კორუფციასთან შებრძოლება.

**— თავის თავს ხომ არ გამოუცხადებდით ომს?**

— სწორედ ეს არის ხელისუფლების ამოცანა, აღმოაჩინოს იმის რესურსი და ძალა, რომ საკუთარ მანკიერებებს ებრძოლოს, არადა ეს შეიძლებოდა. მე შეცდომებს კარგად ვხედავდი, მაგრამ ერთი ადამიანი რას ვიზამდი, სამწუხაროდ, ხელისუფლებაში არ იყო კონსოლიდირება.



**— მერაბიშვილმა თუკი მოახერხა?**

— მერაბიშვილი ვერაფერს ვერ შეძლებს, თუკი მას არ ექნება სააკაშვილის მხარდაჭერა. შევარდნაძე მხარს არ მიჭერდა.

**— რატომ ვერ მოიპოვეთ მისი მხარდაჭერა?**

— ეს განაპირობა მისმა ხასიათმა, მიდგომამ, მენტალიტეტმა... სააკაშვილის მოქმედების პრინციპები სხვაა, მას მეტი გუნდურობა ახასიათებს, შევარდნაძე უფრო დისტანცირებული იყო.

**— კიდევ რა დადებითი აქვს სააკაშვილს?**

— ქარიზმატულობა, ხელისუფლებაში ყოფნის ინტერესი და სურვილი, ენერგიულობა, პიარ-ხელოვნების კარგად ცოდნა.

**— დიპლომატია?**

— ეს არ არის მისი საუკეთესო მხარე.

**— ცუდი რა აქვს?**

— როგორც პიროვნებას?

**— როგორც ხელისუფალს. რატომ ვართ დღეს ასეთ დღეში, მისი რა ცუდი თვისების გამო?**

— ხელისუფლებისადმი უსაზღვრო სიყვარულის, ძალაუფლების ზღვარგადასული ლტოლვის გამო...

**— გასაგებია. ამდენი პოლიტიკური ნიუანსის ცოდნის შემდეგ, რატომ არ მიდიხართ პოლიტიკაში? დავამთავროთ საუბარი იმით, რითაც დავიწყეთ.**

— ჯერჯერობით არა ვარ პარტიაში. რომ მქონოდა სურვილი პოლიტიკაში ყოფნის, აქამდეც არავინ არ მიშლიდა ხელს.

**— ზედმეტ სიფრთხილეს იჩენთ. წარსულის ხომ არ გეშინიათ?**

— რა შუაშია წარსული.

**— ბოლოს და ბოლოს რევოლუციურად გაშვებული მინისტრი ხართ.**

— რა მნიშვნელობა აქვს. ზოგი გაშვებულია, ზოგი დარჩენილი, ზოგსაც აწი გაუშვებენ და ასე იქნება ეს ცხოვრება...

მე უბრალოდ ვიცი, რამდენად საპასუხისმგებლოა პოლიტიკაში ყოფნა და არ მინდა, ამ საქმეს ზერელედ მოვეკიდო. უკვე ნამდვილად საკმარისია ის ადამიანები, რომლებიც ურცხვად იტყუებიან და ამას აკეთებენ, ძირითადად, პოლიტიკოსები...

ესაუბრა
**თეა მოსია**

გამოფენა

*თბილისის ისტორიის მუზეუმ „ქარვასლაში“ თანამედროვე აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ქვეყნების თექვსმეტი ფოტოხელოვანის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.*

*„ცვალებადი სამყარო, დროის ანარეკლი“ — ასეთი სახელი შეურჩია გამოფენის ხელმძღვანელმა იულია როიტერმა, რადგან ამ ფოტოკომპოზიციებში ნაჩვენებია ბოლო ოცი წლის ცვალებადი სამყარო და გარემო.*

*ეს ფოტოგამოფენა სიმბოლოა იმისა, თუ როგორ იცვლებოდა მოვლენები და შესაბამისად იცვლებიან ადამიანებიც.*

# ცვალებადი სამყარო, ანუ „პერესტროიკა“

კოკა რამიშვილი იმ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც 1990-იანი წლების შემდეგ საქართველო რამდენჯერმე დატოვა, ცხოვრების გარკვეული პერიოდი უცხოეთში გაატარა. მის შემოქმედებაში არსებითი ადგილი სწორედ პოსტსაბჭოთა თემასა და მასთან დაკავშირებით აქტუალურ პრობლემატიკას უკავია. მისი ვიდეოინსტალაციას „Change“, ანუ ცვლილება ჰქვია. უკიდურესად შენელებული კადრები, გაწელილ-გაბუნდოვნებული ხმაურით, ძალიან მძაფრად და შთამბეჭდავად გამოხატავს ერთ სივრცეში მოქცეული მამაკაცების ჯგუფის ბრძოლის პლასტიკას და უახლოესი ისტორიის ცვლილებას ზედმიწევნით, დეტალურად ყვება.

გერმანელი ფოტოხელოვანის კრისტიან ბორხეტის თვალით დანახული სამყარო გვიყვება 1989 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა ცხოვრებაში მომხდარი პოლიტიკური გადატრიალების შესახებ. მისი კადრები ოჯახურ პორტრეტებს ეძღვნება, რომელიც გადაღებულია ბერლინის კედლის დანგრევამდე და დანგრევის შემდეგ.

უსათაურო და უსახო ფოტოსერია ბელორუს ხელოვან **იგორ სავჩენკოს** ეკუთვნის. იგორი შეგნებულად შლის და ღებავს სახეებს ისევე, როგორც ეს რეპრესირებული ადამიანის ოჯახებში ხდებოდა. ის თავის ფოტოებზე ადამიანებს უსახო, ერთგვაროვან ფიგურებად აქცევს. ზოგან კი ვიწრო წითელ ხაზებს ავლებს. გამოფენის რეალური მიზანიც სწორედ ხაზის გასმაა იმ ცვლილებებზე, რომელიც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ხდებოდა. სწორედ ამიტომაც დაარქვა სიმბოლური სახელი „პერესტროიკა“ თავის გამოფენას ხელოვანმა **ზაილ ჯეკშენბაევმა...**

გამოფენა, რომელიც გოეთეს ინსტიტუტის ორგანიზებით მოეწყო, საქართველოს გარდა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც იმოგზაურებს, რათა კიდევ ერთხელ შეახსენოს დამთვალიერებლებს, რომ ცვლილებები ყოველთვის მოხდება და ადამიანები მუდამ გარდაიქმნებიან და სანამ ახალი პარადიგმა შეცვლის ძველს, ხალხი ყოველდღიური პრობლემებით იქნება დაკავებული. ამ ნამუშევრებშიც პრაქტიკულად ძველის ახლით შეცვლაა ასახული და ძველთან ერთად ქრება უცნაურად გულითადი საბჭოთა ესთეტიკაც.

**ეკა მაშიანოვა**

ინფორმაცია



## „გამაესტროვდება“

**რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ასევე ყოფილი გენერალური დირექტორი ეროსი კიწმარიშვილი ტელეკომპანია „მაესტროში“ იწყებს მუშაობას.**

**— დეტალური ინფორმაცია გუშინ, ტელეკომპანია „მაესტროს“ ოფისში, პრესკონფერენციაზე გახდება ცნობილი, — განაცხადა მამუკა ღლონტმა.**

## გაიტაცეს 25 ათასი დოლარი...

**ქურდობა მოხდა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში. ბოროტმოქმედებმა შპს „აისი“ — გურჯაანის ნაყინის საწყობის გამგის ავთანდილ ავთანდილაშვილის საცხოვრებელი სახლიდან 25 ათასი აშშ დოლარი, 2 ათასი ლარი და დიდი რაოდენობით ოქრო წაიღეს.**

**მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას შს გურჯაანის სამმართველო აწარმოებს. ბოროტმოქმედები ამ დრომდე არ დაუკავებიათ.**

ჯი-ეიჩ-ენი

პრობლემა

# ჟამი სერიალების ჭკნობისა

**საინფორმაციოს გარდა ტელევიზიას გასართობ-შემეცნებითი ფუნქციაც რომ აკისრია, სამწუხაროდ, ქართულ ტელემაუწყებლებს ნაწილობრივ ან უმეტეს შემთხვევაში მთლიანად დაავიწყდათ. ამაზე უკვე მრავალჯერ ითქვა და დაიწერა კიდეც ახალი ამბავი არ არის, რომ „ნაციონალურ“ არხებზე მთელი დღის განმავლობაში, საინფორმაციოსა და საინფორმაციოებს შორის საპნის ოპერების მეტს ვერაფერს ნახავ. მაშ, რა შემეცნებითი და თუნდაც გასართობი (ხარისხიან გასართობს ვგულისხმობ) ღირებულება აქვთ გადამღერებულ „რომეოსა და ჯულიეტას“ მსგავს გულისამაჩუყებელ, ბანალურ ისტორიებს?**

ამას წინათ, შინ დაბრუნებულს ეზოში მოთამაშე ბავშვების ხმა შემომესმა, ყურადღებას არ მივაქცევდი, ერთი უცნაურობა რომ არა — ერთ-ერთი ბიჭუნა გამწარებით გაიძახოდა, მე რაული ვიქნებიო. გავიფიქრე, ეს რაული ვინ არის-მეთქი. ჰოდა, როგორც გავარკვიე, რაული... ერთ-ერთი საპნის ოპერის „ღვაწლმოსილი“ პერსონაჟი ყოფილა. სახელის დარქმევა კიდევ არაფერი, ბავშვებმა სიუჟეტების კოპირებაც თუ დაიწყეს, მერე ვერ გვექნება საქმე კარგად. არა და უკვირთ, რა არაეროვნული თაობები იზრდებიანო. აბა რა იქნება? სკოლაში სათანადოდ არ ასწავლიან ქართულ ფასეულობებს და ვითომ ტელევიზიები რატომ გამოიდებენ თავს?

ახლა სკოლის მოსწავლეს რომ ჰკითხო, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ვინ არისო, ვერ გიპასუხებს. შორეული წარსულის გმირებზე აღარაფერს ვამბობ. სამაგიეროდ, მშვენივრად იციან, ვინ არის რაული, ხუანი, დიეგო... მათი „საგმირო საქმეების“ შესახებაც უწყიან და, როგორც აღმოჩნდა, მისაბაძ მაგალითადაც უქცევიათ. ბავშვებს რა უნდა მოჰკითხო, ტელევიზიების მესვეურები უკვე კონკურსებს ატარებენ თემაზე — ვინ უფრო ჰგავს მარიო ჩიმაროს, რომელიც ლათინური სერიალების მთავარი გმირი და ამჟამად ქართველი მანდილოსნების ტრფობის ობიექტია. ასეთი ქალი შვილსაც მარიო ჩიმაროსნაირს გაზრდის და სდიე მერე კუდში!!!

...და კიდევ ერთი, არც ისე დიდი ხანია, რაც ქართულ სივრცეს ახალი პირველი მრავალსერიანი ქართული ტელენოველა დაემატა — „ჟამი ყვავილობისა“. ალბათ, ეს არის გამოსავალი — სერიალია, მაგრამ ქართული. ბავშვები ქართულ სახელებს მაინც დაირქმევენ.




სხვათა შორის, სერიალებს ყვავილობის ჟამი დიდი ხანია დაუდგათ და უკვე დროა, ფოთლებიც ჩამოსცვივდეს.

**ანა წიწილაშვილი**

◉ მუხლუხი მედიცინაში

# ბენდუქიძე უროლოგიის ცენტრსაც მიუხრუხდა?!

**ვიდრე ბენდუქიძის მორიგ გადაჩოჩებაზე თუ გადაბობღებაზე რამეს ვიტყოდე, არ მინდა უმადურობა გამოვიჩინო თავად უროლოგიის ცენტრის მიმართ, რომელიც მართლაც რომ გამორჩეული სამედიცინო ცენტრია მთელ ქვეყანაში. მისი დამსახურება, პროფესორ-სპეციალისტთა ავტორიტეტი და რეიტინგი იმდენად მაღალია საზოგადოებაში, რომ ცენტრის ლაბორატორიებთან, მკურნალთა თუ საექოსკოპიო კაბინეტებთან მთელი დღის განმავლობაში პაციენტთა ნაკადი არ წყდება.**

გუშინ ამ ნაკადის ერთი რიგითი წევრი მეც გახლდით და სულაც არ გამკვირვებია, ექოსკოპიის გადასაღებად რიგში დგომამ რომ მომიწია. რიგმა არა, მაგრამ აი იმან კი გამაკვირვა, რომ თეთრხალათიანი მკურნალები, აღელვებულნი და შეშფოთებულნი, დერეფანში წინ და უკან დარბოდნენ და ერთმანეთს ყურში რაღაცას ეჩურჩულებოდნენ.

ნეტა რა მოხდა, საოპერაციო მაგიდაზე ხომ არავინ დარჩა? – გავიფიქრე ჩემთვის და უნებურად ყურები ვცქვიტე.

– ენუქიძე კი არა ბენდუქიძე, გოგო, ბენდუქიძე! – მომესმა მოჩურჩულეთა მხრიდან. ერიჰაა, ბენდუქიძესაც მიუკაკუნა არსთა გამრიგემ? – გამიელვა თავში და როგორღაც შემაშფოთა. ბენდუქიძე, მართალია, როგორც ჟურნალისტს, არაერთგზის მიმიყენებია კედელთან, მაგრამ საიმქვეყნოდ მაინც არ გამემეტა.

– რაო ბენდუქიძემ, რა მინდაო? – მომწვდა ხმა ისევ მოჩურჩულეთაგან. აა, ცოცხალი ყოფილა, კიდევ კარგი, დავმშვიდდი.

– ჭირი და სიკვდილი უნდა მაგას, – გააგრძელა თეთრხალათიანმა, – არ იცი მაგის ღორი თავის ამბავი? თურმე ახლა უროლოგიაში აპირებს დინგის შემოყოფას და ჩვენი ცენტრის ყიდვას.

– მთელი ცენტრისას, ქალო?

– აბა ნახევრისას? მე შენ გეტყვი, ფულის სასესხებლად რუსეთში წავა.

– მერე ლაურ მანაგაძე თანახმაა?

– რატომაც არ იქნება თანახმა, გენაცვალე, ლაური დღემდე მარტო ცენტრის დირექტორი იყო, ახლა მისი მესაკუთრეც გახდება.

– გამაგებინე, რომელი იქნება მესაკუთრე – ბენდუქიძე თუ მანაგაძე?

– ორივე, ქალო, ორივე – ბენდუქიძე ფულს გადაიხდის და მანაგაძეს წილში ჩაისვამს, რავა ვერ მიხვდი?

– ააა, ახლა ყველაფერი გასაგებია, აქამდე სახელმწიფოს მსახურები ვიყავით, აწი ბენდუქიძისა და მანაგაძის საკუთრება გავხდებით, არა? საკუთრება კი მონობას ნიშნავს.

– რა ვიცი, ბატივით კი დაიბენი და...

იმ დღეს მართლაც ბატებივით დაბნეულები დარბოდნენ უროლოგიური ცენტრის ექიმები და ექთნები, ლაბორანტები, მთელი მედპერსონალი. როგორც იტყვიან, ელამელას იყვნენ ნაცემი იმ ნავსიანი ცნობის გამო (თუ ის მართლაც რეალურია(, რომელიც ცენტრის შენობას ყუმბარასავით ეძგერა და იქ მომუშავე მედიკოსთა ინტერესები და სამომავლო ფიქრები სულ ნაცარტუტად აქცია.

ვერ გეტყვით, იმ მომენტში, როცა ქართველი უროლოგები სიმწრის ოფლში ცურავდნენ, კვლავაც ნაბუღარი ხარივით მშვიდად ფშვინავდა თუ არა საქართველოს სიმდიდრის ჭამა-ყლურწვით ერთიანად ჩაკურატებულ-ჩამრგვალებული, ერთ დროს ქვეყნის „ეკონომიკის მამად“ აღიარებული და სახელმწიფო სკამიდან მოულოდნელად დაგორებული ბატონი კახა ბენდუქიძე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დაგორებამდე სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე გაწეულ მის „ღვაწლსა“ და „ამაგს“, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ამბავი ოდნავ მაინც შეარხევდა მისი მარად უმწიკვლო სინდის-ნამუსის სიმებს.

არადა იმ პერიოდში, როცა ეს ფუტკარივით გამრჯე და შვედური ძროხასავით ღალიანი კაცი მინისტროებიდან ერთბაშად კანცელარიის მეკუჭნავედ ჩამოალაბორანტეს, მერე ესეც არ აკმარეს და მეფის სამსახურიდან საერთოდ ფეხი ამოაკვეთინეს, ხომ შეიძლებოდა ნაჩინოვნიკარს ყველასა და ყველაფერზე გული ასცრუებოდა, თავისი უძრავ-მოძრავი ქონება, მთელი ამ წლების ნაალაფარ-ნავაჭრი, შვილივით მოვლილ-ნაპატივებ ღიპთან ერთად, ჩემოდნებში ჩაელაგებინა და საიდანაც მოვიდა, იმ ქვეყანაშივე უხმოდ გაძურწულიყო?

მან ეს არ გააკეთა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც ერთთავად ჩარეცხვით სხვებს ემუქრებოდა, შემთხვევით ეს ჩვენი დათუჩა მინისტრი ჩამოერეცხა(!?(. არადა, ყველას გვახსოვს, როგორი ენთუზიაზმით უძლვებოდა ბენდუქიძე ქვეყნის ეკონომიკის დაქცევას. ჩვენც გვამხნევებდა, ოღონდ თქვენ იყავით მაგრად და არაფერზე დავიხევ უკან, ხალხის საკეთილდღეოდ ყველაფერს გავყიდი, საკუთარი სინდისის გარდაო. რას ერჩით, სიტყვა არ გაუტეხავს, პირიანად იმუშავა, სადაც კი მისწვდა, ყველაფერი ფულად აქცია და ჯიბეში ჩაიჩურთა. აღარ აცალეს, თორემ ქვეყნის გულისთვის, ალბათ, არც საკუთარ სინდისს დაიხვალიებდა, რომელიც, ვაღიაროთ და ვთქვათ, ფაქტობრივად გაუსაღებელი დარჩა(!(.

ამის მიუხედავად, არა მგონია, საკუთარი ნამოღვაწარით, თავად ბენდუქიძე იყოს კმაყოფილი. მე თუ მკითხავთ, ბენდუქიძის ტრაგედია სწორედ ის არის, რომ დიდი ოფლის ღვრისა და ოპერატიულობის მიუხედავად, მან ყველაფრის გაყიდვა მაინც ვერ მოასწრო. ფაბრიკა-ქარხნები, ტყეები, წყლები, მიწები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები კი ყიდა და ყიდა, მაგრამ თვალს მოფარებული ადგილები ჯერაც გაუსაღებელი დარჩა, რომ აღარაფერი ვთქვათ მთებსა და ულელტეხილებზე, რომლებიც ბენდუქიძის მსუნაგ ყნოსვას გადაურჩა. მაგრამ, როგორც ჩანს, მდიდარი გამოცდილების მქონე ჩარჩი ახლა ამის გამოსწორებას იმით ცდილობს, რომ მინისტრობის ჟამს დაშვებული შეცდომების კომპენსაცია მოახდინოს, გაუყიდავი ობიექტები ხელმეორედ აღრიცხოს, საკუთარ საპრივატიზებო დავთარში შეიტანოს და ნელ-ნელა, გულმშვიდად დაეპატრონოს. აბა როგორ, რახან ამ წონისა და სისქის პერსონა ერთხელ უმტკივნეულოდ და მოხელთებულად შეძვრა საქართველოს ქონებაში, ისევე როგორც მსხვილი მატლი (მუხლუხიძ ფულუროში, ხომ უნდა ერთთავად იფუთფუთოს და შეუსანსლავი აღარაფერი დატოვოს(!(.

ამ ცოტა ხნის წინათ, პრესაში გაჟონა ცნობამ „პრემიერყოფილი ლადო გურგენიძე და ნამინისტრალი ბენდუქიძე „სახალხო ბანკის“ ყიდვას აპირებენო. ხმები არც თუ უსაფუძვლო გამოდგა, ბატონი გურგენიძე მალე დასახელებული ბანკის გენერალური დირექტორის სავარძელში აღმოჩნდა, ხოლო ბენდუქიძე მისი თანამეწყვილე პარტნიორის როლში. როგორც ჩანს, ძველი ჩარჩი ახლა უროლოგიამ გაიტაცა და ბიზნესპარტნიორობა ამჯერად ცნობილი უროლოგისა და დასტაქრის ლაური მანაგაძის ხელით მოინდომა. არ გამოუვა? რატომაც არა, ადრე სკამიდან ანგრევდა ქვეყნის ეკონომიკას და ახლა უსკამოდ სარფიანი ობიექტების დასაკუთრებას ვეღარ მოახერხებს?

აბა ვინც მაგარი ბიჭია, გაბედოს და წინ გადაუდგეს. მით უფრო ახლა, როცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ლიბერალური ეკონომიკის მშენებლობის ახალი ტალღა ააგორა. ამ ტალღის ქეჩოზე მოქცეული ჩვენი ტანშოლტი ბენდუქიძე სულ ღიღინ-ღიღინით და ლაღი მხიარულით მიაპობს ქვეყნის დემოკრატიულ დინებას...

რატომაც არ იღიღინებს რა, უროლოგიის ცენტრის ფეშენებელურ ლაბორატორია-კაბინეტებში „ერთ ადგილზე“ კიდევაც იმკურნალებს და კიდევაც მესაკუთრეობას გამოკრავს ხელს.

**ოთარ ხუციშვილი**






◉ სულიერება

# შეხვედრა ქართველ მუსლიმებთან

***მსოფლიო ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით, კონფლიქტების მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიერ უნივერსიტეტის გაეროს აუდიტორიაში შეხვედრა გაიმართა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: აჭარიდან ქართველ მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაშიძე, თურქეთთან მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარე ოთარ ნადირაძე, საქართველოს მუსლიმთა თემის წინამძღოლი ღაზი ალი ალიევი და ჯუმა მეჩეთის მოლა ვაგიფ აკპეროვი.***

**თეონა ლავრელაშვილი – სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.** – შეხვედრის მიზანია ეთნიკურ უმცირესობათა თემის პოპულარიზაცია. სტუდენტთა ინტერესი ძალიან დიდია და ეს პროგრამა ამიტომაც არის მნიშვნელოვანი. სიმბოლურია, რომ სწორედ სტუდენტები, საქართველოს მომავალი თაობა და მომავალი ლიდერები მართავენ ისეთ დიდ ღონისძიებას, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ჩვენ დემოკრატიული იდეების მომხრეები ვართ.

განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ინიციატივით, წინა სასწავლო წელს გაიმართა საჯარო ლექცია ეთნიკური უმცირესობების შესახებ. დღევანდელი შეხვედრის შემდეგ ვფიქრობთ, გაფორმდეს თანამშრომლობის მემორანდუმი, რათა უფრო მეტი ღონისძიების გამართვის საშუალება მოგვეცეს. 2003 წლის თებერვალში საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში, საზოგადოების ცნობილმა წევრებმა შექმნეს „რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ მოძრაობა“, რომელიც შემდგომ გარდაიქმნა „ძირითად უფლებათა, თავისუფლებათა საბჭოდ“. საბჭოს ხელმძღვანელმა და შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **გიორგი ხუციშვილმა** განაცხადა, „რომ პროექტის ფარგლებში უამრავი პრეზენტაცია გაიმართა და და უამრავი წიგნი გამოიცა.

ამ შეხვედრის ძირითადი მიზანია, დავამკვიდროთ ტოლერანტობა და ურთიერთგაგება ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, პოლიტიკურ პარტიასა და ეთნიკურ ჯგუფს შორის“.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ჯუმა მეჩეთის მოლა **ვაგიფ აკპეროვი**, რომელიც ამავე დროს არის საქართველოს მუსლიმთა წარმომადგენლობის და რელიგიური საბჭოს თავმჯდომარე. მან დიდი მადლობა გადაუხადა შეხვედრის ორგანიზატორებსა და სტუმრებს, მისი თქმით, თბილისის ჯუმა მეჩეთი არის კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლობა საქართველოში. „მადლობა და მშვიდობა ალაჰს იმისათვის, რომ ჩვენ გვაქვს მეგობრული ურთიერთობა. თბილისის ჯუმა მეჩეთში თავს იყრის ყველა მუსლიმი, შიიტიც და სუნიტიც. გახარებული ვარ, რომ მუსლიმები ჩართული არიან ყველა იმ საზოგადოებრივ პროცესში, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს. ჩვენ ვართ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრები“.

მუსლიმურ კულტურასა და სარწმუნოებაზე ვრცელი ლექცია წაიკითხა თურქეთთან მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარემ **ოთარ ნადირაძემ.**

„მუსლიმთა კავშირი საქართველოში“ ერთი წლის წინათ დაფუძნდა **ტარიელ ნაკაშიძის** თავმჯდომარეობით. პროექტის ფარგლებში ეს პირველი პრეზენტაციაა. საქართველოში არის 162 მეჩეთი, რომლის ძირითადი ნაწილიც განლაგებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მუსლიმ მოზარდებს საშუალება აქვთ საკვირაო სკოლებში იარონ, სადაც მიიღებენ რელიგიურ განათლებას. აჭარაში ფუნქციონირებს 158 ასეთი საკვირაო სკოლა. საქართველოში ცხოვრობს ნახევარ მილიონამდე აზერბაიჯანელი მოქალაქე და დაახლოებით 150-200 ათასამდე ქართველი მუსლიმი.

**თინათინ ბორცვაძე**

◉ ინფორმაცია

## ჩვენი პროდუქციით დაინტერესდნენ

**გუშინ სასტუმრო „რედისონში“ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით საქართველო-ბელორუსის ბისნეს-ფორუმი გაიმართა.**

**ბელორუს ბიზნესმენთა დელეგაციას ბელორუსის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ვასილ რომანოვი ხელმძღვანელობს. დელეგაცია საქართველოში 15 ნოემბრამდე დარჩება და შეხვედრებს გამართავს ქართველი ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან.**

**ბელორუსის ბიზნესდელეგაციის წევრები 14 ნოემბერს ფოთს ესტუმრებიან და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას დაათვალიერებენ.**

**ვასილ რომანოვის განცხადებით, ბელორუსის დელეგაცია ქართველ ბიზნესმენებთან განიხილავს ბელორუსისა და საქართველოს შორის ბიზნესურთიერთობების ხელისშემშლელ ფაქტორებს. გარდა ამისა, რომანოვის განცხადებით, ბელორუსის ბიზნესმენთა დელეგაციის რამდენიმე წევრი საქართველოში კონკრეტული წინადადებებითაც ჩამოვიდა.**

**საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის ჯემალ ინაიშვილის განცხადებით, ბელორუსი ბიზნესმენები სოფლის მეურნეობის სფეროთი დაინტერესდნენ.**

## სავიზო რეჟიმი მარტივდება

**მთავრობის კანცელარიაში ევროკავშირის საკითხებზე მომუშავე, მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ვიცე- პრემიერი გიორგი ბარამიძე ხელმძღვანელობდა.**

**მხარეები საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის აქტუალურ თემებს, კერძოდ კი აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმდინარე თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების და ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საკითხები განიხილეს.**

**როგორც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტმა რექტორმა გიორგი ხუბუამ განაცხადა, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ევრო-კავშირის ქვეყნებთან სტუდენტებისთვის სავიზო რეჟიმი მარტივდება.**

„ექსპრესნიუსი“ და ХИ-ЭЙВ-ЭНИ

№ 230. პარასკევი, 13 ნოემბერი, 2009 წელი.

# „იღბალი არაფერ შუაშია.

## იუბილარს ულოცავენ

**ქალბატონო ნინო,**

**მოგესალმებით დიდი პატივისცემითა და სიყვარულით. გილოცავთ ამ მეტად მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს და მადლობას მოგახსენებთ იმ ფასდაუდებელი ღვაწლისთვის, რაც თქვენ გასწიეთ ქართული მეცნიერების, კერძოდ, მედიცინის განვითარებისა და მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით.**

**ნამდვილად სამაგალითო ქალბატონი ბრძანდებით და ჩვენ ყველანი ძალიან ვამაყობთ თქვენით, ხოლო პირადად ჩემთვის დიდი პატივი იყო თქვენი გაცნობა.**

**გისურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას. უფალი გფარავდეთ.**

**პატივისცემით**

**სანდრა ელისაბედ რულოვსი**
**საქართველოს პირველი ლედი**

---

**ძვირფასო ქალბატონო ნინო,**

**ულრმესი პატივისცემითა და სიყვარულით მოგესალმებით და გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს – 95 წლის იუბილეს.**

**თქვენ, დიდმა ქალბატონმა, ჭეშმარიტმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ქვეყნისა და სამედიცინო მეცნიერებისადმი თქვენი უანგარო სამსახური აქციეთ უბრწყინვალეს მაგალითად როგორც თანამედროვეებისთვის, ისე მომავალი თაობებისთვისაც.**

**თქვენი სამეცნიერო კვლევის შედეგებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა;**

**თქვენი ხელმძღვანელობით ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტი იქცა ერთ-ერთ უპირველეს სამეცნიერო დაწესებულებად და ახალგაზრდა კადრების დახელოვნების კერად;**

**უდიდესია თქვენი წვლილი ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შექმნასა და განვითარებაში;**

**თქვენ, როგორც პარლამენტარმა და საქართველოს ქალთა საბჭოს წევრმა, ბევრ შეჭირვებულს შეაშველეთ თქვენი გამოცდილება, ცოდნა და გულის სითბო და რწმენა და იმედი დაუბრუნეთ.**

**აღტაცებით შევყურებთ, თუ როგორი ენერგიით, მომავლის იმედით ეგებებით თქვენი ცხოვრების მონუმენტურ თარიღს – 95 წელს, ეგებებით ტრადიციულად მომხიბვლელი და ღიმილიანი.**

**დიდო ქალბატონო,**

**გისურვებთ, დიდხანს დარჩეთ მეცნიერისა და მოღვაწის ნათელ მაგალითად!**

**დავით ბაქრაძე,**
**ფრიდონ თოდუა,**
**რუსუდან კერვალიშვილი,**
**გიგი წერეთელი,**
**ოთარ თოიძე**

---

**აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი XX საუკუნის ქართველ მედიკოსთა იმ წრის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა და შექმნა კლასიკური ქართული მედიცინა.**

**ქალბატონ ნინოს მეცნიერული, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ღვაწლი ქართველმა ხალხმა დიდი ხანია სათანადოდ დააფასა. იგი ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა. იშვიათად შეიძლება ერგოს ადამიანს, მეცნიერს, მოღვაწეს ისეთი სიყვარული, როგორიც ქალბატონ ნინოს აქვს მოპოვებული. უცხოეთის არაერთი სამეცნიერო საზოგადოების წევრსა და ფორუმის მონაწილეს, დიდად აფასებენ მსოფლიოს სამეცნიერო წრეებშიც.**

**დიდია მისი მეცნიერული ღვაწლი, მაგრამ არანაკლებია საზოგადოებრივი ამაგიც. ნინო ჯავახიშვილის სახელი ღირსეულად ჩაიწერა XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.**

**დღეს ბედნიერია ქალბატონი ნინო, თავისი აღზრდილებითა და თანამოაზრეებით გარშემორტყმული. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, წარმატებული მეცნიერული მოღვაწეობის გაგრძელებას ვუსურვებთ ქართული მედიცინის პატრიარქს.**

**ალექსანდრე კვიტაშვილი,**
**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა**
**და სოციალური დაცვის მინისტრი**



**ადვილია სიტყვის თქმა ნინო ჯავახიშვილზე!**

ადვილია, რადგანაც მისი პიროვნების თუ მოღვაწეობის რომელ მხარესაც არ უნდა შეეხო, მხოლოდ მაღალი ეპითეტებისა და საქებარ სიტყვათა მოხმობა დაგჭირდება.

ძნელია სიტყვის თქმა ნინო ჯავახიშვილზე!

ძნელია, რადგანაც არსებობს საშიშროება, რომ ზემოაღნიშნული ეპითეტებითა და საქებარი სიტყვებით დახატო ცნობილი მეცნიერის, მომხიბლავი ქალბატონისა და უშურველი მოღვაწის ხატი, მაგრამ ამ ხატს მიღმა აუსახველი დაგრჩეს ის მთავარი, რაც ქალბატონ ნინოს თვით გამორჩეულთა შორისაც გამოარჩევს.

ნინო ჯავახიშვილის ფენომენი რომ „ამოიხსნას", ბევრი რამის გათვალისწინებაა აუცილებელი.

**ბიოლოგიური და „სოციალური" გენეტიკა:**

მისმა მამამ, აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა გეოგრაფიულ მეცნიერებათა არაერთ მიმართულებას და დააარსა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, საუკუნე ისე მოიტოვა უკან, შეუძლოდ ყოფნა არ უხსენებია. ქალბატონი ნინო, როგორც მისივე თანადგომით დაფუძნებული ჟურნალის „კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის" მთავარი რედაქტორი, ამჟამადაც, ყოველდღიურად 10-დან 14-საათამდე უსათვალოდ ასწორებს სამენოვან ტექსტებს. დღესაც მადლობით იხსენებს მშობლებს და იმ „გუვერნანტებს", რომელთაც ლამის ქართულის ტოლფასად შეასწავლეს რუსული, ფრანგული და გერმანული ენები. რაც შეეხება მის ქართულს, ქალბატონი ნინოს კორექტორობას არაერთხელ განუცვიფრებია ცნობილი კალმოსნები.

**პიროვნული თვისებები:**

მემკვიდრეობითაც დაჰყვა, თვითონაც გამოიმუშავა და განავითარა თავისი ისეთი განუყრელი მახასიათებლები, როგორიცაა შემოქმედებითობა, მაღალი ზნეობა, პირდაპირობა, ურთიერთობის ნიჭი სიდარბაისლე, მომხიბვლელობა, დახვეწილი იუმორი, ძიების წყურვილი და შრომისუნარიანობა. წარმატებული მეცნიერი თავად ასე ბრძანებს:

„იღბალი არაფერ შუაშია, შრომაა მთავარი. მეცნიერული კვლევა-ძიებისას შემთხვევით ვერ აღმოაჩენ რაიმეს. მუშაობ, ეძებ, იკვლევ. ვთქვათ, ვარაუდობ, რომ რასაც ეძებ, ასი ფურცლიდან ერთ-ერთშია. ის შეიძლება, პირველივე გვერდზე ნახო, შეიძლება – მეასეზე, მაგრამ ვიდრე არ იპოვი, ხომ არ გაჩერდები."

**ოჯახი და გარემოცვა:**

ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს და ბატონ მემედ კომახიძეს არა მარტო უყვარდათ ერთმანეთი, არამედ პატივს სცემდნენ ერთმანეთის პიროვნებასა და მოღვაწეობას. გასაოცარი ქირურგიული ტექნიკის მქონე ქალბატონ ნინოს მემედ კომახიძე ხშირად იწვევდა სისხლძარღვთა საოპერაციოდ (ორიოდე წლის წინათ, მორფოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარე ექსპერიმენტის დროს, ნინო ჯავახიშვილმა უსათვალოდ ჩაატარა კარის ვენის პლასტიკა ცხოველზე!). ქალბატონი ნინო და ბატონი მემედი მეგობრობდნენ დიდ მეცნიერებთან, ექიმებთან, მწერლებთან, მსახიობებთან, მხატვრებთან, დიდ პოლიტიკოსებთანაც კი.

**წარმატებული მეცნიერული გზა:**

26 წლისა გახდა მეცნიერებათა კანდიდატი, 33 წლისა მეცნიერებათა დოქტორი, 38 წლისა – პროფესორი. 47 წლის ასაკში აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 65 წლისა – აკადემიის ნამდვილ წევრად. 1959 წლიდან 2006 წლამდე ხელმძღვანელობდა მორფოლოგიის ინსტიტუტს, 2006 წლიდან – მისი საპატიო დირექტორია. მოწაფეებთან და თანამშრომლებთან ერთად მან განავითარა და დღესაც აგრძელებს ქართული ანატომიური, ჰისტოლოგიური, ემბრიოლოგიური ტერმინოლოგიის სრულყოფას. არის 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიის ავტორი.

ნ. ჯავახიშვილის გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება არტერიების ხელოვნური შემცვლელების ჩანერგვას. ღრმა მორფოლოგიური ანალიზის საფუძველზე მან გამოავლინა ის ცვლილებები, რომლებიც არაიშვიათად ხდებოდა ხელოვნური შემცვლელის – ალოტრანსპლანატის დათრომბვის მიზეზი: ეს არის პროტეზის შიგნითა გამონაფენის, ანუ ნეოინტიმის ვასკულარიზაცია. ეს მოვლენა პრინციპულად განასხვავებს პროთეზის შიგნითა გამონაფენს არტერიის ინტიმისაგან, რომელსაც არა აქვს სისხლძარღვები. ამასთანავე, მკვლევარმა აღწერა ამ ვასკულარიზაციის ტიპები, დაადგინა, რომ ამ ახალი სისხლძარღვოვანი ქსელის მიკროცირკულაციური მოდულის სტრუქტურა დამოკიდებულია ალოტრანსპლანტატის ქსოვის ტიპზე და მიუთითა იმ პროტეზებზე, რომელთა გამოყენებაც შეიცავს დათრომბვის ნაკლებ რისკს. ამ კვლევებს დღემდე არ გააჩნია ანალოგი. ნ. ჯავახიშვილის მიერ გამოკვლევის შედეგების მოხსენება ანატომთა VIII საერთაშორისო კონგრესზე ვისბანდენში, იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ გერმანულმა სამედიცინო გაზეთმა, რომელიც იხილავდა კონგრესის მუშაობას, მონაწილეთაგან მხოლოდ ნ. ჯავახიშვილის ფოტოსურათი დაბეჭდა, ხოლო კონგრესის სრული მიმოხილვა ასე დაასათაურა: „რატომ ითრომბება ხელოვნური სისხლძარღვები?".

ნ. ჯავახიშვილის აღმოჩენები, საზოგადოდ, გადიოდა კლასიკურ გზას: ექსპერიმენტული ლაბორატორია – საერთაშორისო კონგრესი – სამედიცინო სინამდვილეში დამკვიდრება. ასეთივე ბედი ეწია მის მიერ გულში სინუსოიდური კაპილარების აღმოჩენას, თირკმლის არტერიის ვენით ჩანაცვლების შესაძლებლობის დამტკიცებას. გასული საუკუნის 60-იან წლებში მან საქართველოში პირველად გამოიყენა ექსპერიმენტში სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატი, რომელსაც, სხვათა შორის, ისე მოუარა, რომ ეს დანადგარი დღესაც ჩართულია მიმდინარე კვლევებში.

50-ზე მეტ ქვეყანაშია ნამყოფი, ხშირად თვითონ ხელმძღვანელობდა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა დელეგაციებს. სასიამოვნოა, რომ მსოფლიოში ბევრი ადამიანი საქართველოს სწორედ ნინო ჯავახიშვილის პიროვნებით იცნობს და აფასებს.

# განცვიფრება



მამასთან, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილთან ერთად

# და იმედი!

**საზოგადო მოღვაწეობა:**

როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრს, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. ქალბატონი ნინო არის საქართველოსა და თბილისის მრავალი მოწვევის დეპუტატი, საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი. იგი ყოველთვის განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა ადამიანთა გაჭირვებას და მაქსიმალურად ცდილობდა დახმარებოდა მათ. აღსანიშნავია, რომ აკადემიკოს მემედ კომახიძესთან ერთად ოროთახიან ბინაში მცხოვრები ქალბატონი ნინო (2 აკადემიკოსი ოროთახიან ბინაში!) ხშირად გამხდარა შეჭირვებულ და მცირებინიან ოჯახთათვის სახელმწიფოსაგან ბინის გადაცემის ინიციატორი. საერთოდ ქალბატონი ნინოს საზოგადოებრივი მოღვაწეობა ერთი დიდი, ცალკე განსახილველი თემაა...

**გასაოცარი მომხიბლაობა:**

მიმზიდველი იყო და არის ყველა ასაკში. მას ხატავდნენ ცნობილი მხატვრები, ლექსებს უწერდნენ ცნობილი პოეტები. ყოველთვის სადად ეცვა. მისი ღიმილიანი გამოხედვა კეთილგანწყობის მიზეზსაც ჩაგინერგავდა და გარკვეული დისტანციის დაცვასაც გაიძულებდა. არ შემხვედრია პიროვნება, რომელსაც ქალბატონ ნინოსთან ხელმეორედ შეხვედრის სურვილი არ გასჩენოდეს.

# შრომაა მთავარი...

**ეპოქალურობა და თანადროულობა:**

ნინო ჯავახიშვილი იყო და არის ყველა დროსა და ვითარებაში ყველაზე მოწინავე იდეათა მატარებელი. ჯერ კიდევ 1917 წელს, სამი წლისა, მამის მხარზე მჯდომი შეეგება პეტერბურგში თებერვლის რევოლუციას. დღეს კი ერთ-ერთი ყველაზე ინფორმირებული და კომპიუტერიზებული მეცნიერია.

**ორატორული ნიჭი:**

ქალბატონ ნინოს სასიამოვნო ტემბრის ძლიერი ხმა აქვს, გადმოცემის აკაკისეული „მოჩვენებითი სიმარტივე" და საკვანძო საკითხის გამოყოფისა და გახსნის მისეული უნარი დიდად შთამბეჭდავს ხდის მის გამოსვლებსა თუ ლექციებს. იგი დღესაც სიამოვნებით გვთანხმდება, რომ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს სემესტრში ერთხელ მაინც წაუკითხოს ე.წ. ღია ლექციები.

– და კიდევ ...

– და კიდევ ...

მართლაც ძალიან ადვილია, მაგრამ მაინც ძალიან ძნელია სიტყვის თქმა ნინო ჯავახიშვილზე. თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩემთვის ერთი რამ უეჭველია: ნინო ჯავახიშვილი ველარ განმეორდება! შეუძლებელია ამ ეპოქის და მის დროსა და სივრცეში განფენილი ასეთი ცხოვრების და მოღვაწეობის განმეორება.

ქალბატონო ნინო,

თქვენი ნაწინამძღოლები და ნაამაგარი ინსტიტუტის ყველა თაობის თანამშრომელთა სახელით, ყველა ქართველი მეცნიერი ექიმის სახელით მინდა მოგილოცოთ მონუმენტური საიუბილეო თარიღი. ასეთი მხნეობითა და მოუცლელობით თქვენი ჩვენ გვერდით ყოფნა, დიდი განცვიფრების გარდა დიდ იმედსაც აღძრავს თითოეული ჩვენგანის გულში: თქვენსავით ხანგრძლივად სიცოცხლის და აქტიურად მოღვაწეობის იმედს.

დიდო ქალბატონო,

დიდხანს არ მოგვკლებოდეს თქვენგან ეს განცვიფრებაც და ეს იმედიც!

**დიმიტრი კორძაია,**
**ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი**

## ეთიკურ ნორმათა დამამკვიდრებელი

თავს უფლებას ვაძლევ, ორიოდ სიტყვით მივმართო ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს და სრულიად საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას.

ჩვენი, საექიმო ეთიკა, ზოგადად საერთო ეთიკის შემადგენელია და მოიცავს ექიმის ზნეობისა და მორალის პრობლემურ საკითხებს, ექიმის დამოკიდებულებას ავადმყოფისადმი, კოლეგისადმი და, საერთოდ, საზოგადოებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ათწლეულებში მედიცინა გიგანტური ნაბიჯებით ვითარდებოდა, ეთიკური ნორმები არ შეცვლილა და არც მომავალში შეიცვლება. დიდ ფრანგ მოაზროვნეს სენტ-ეგზიუპერს სწამდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც მათემატიკური გათვლების შედეგად მიღებული ერთი აბი განკურნავდა ავადმყოფს და მთავარ საკითხად მედიცინაში კოლეგების ურთიერთპატივისცემა დარჩებოდა. ქალბატონი ნინო ჯავახიშვილი და ბატონი მემედ კომახიძე არ ბრძანდებიან საზოგადოების რიგითი წევრები. ისინი ნაკლებად ეკუთვნიან საკუთარ თავს, მეტად – საზოგადოებას და საკუთარ პროფესიას.

ქალბატონი ნინო ჯავახიშვილი ყოველთვის ითვალისწინებს კოლეგის და საზოგადოების აზრს, რითაც ქმნის და ამკვიდრებს ეთიკურ ნორმებს თავის გარშემო.

განვლილი ათწლეულების მიუხედავად, არ შეცვლილა ქალბატონ ნინოს პიროვნული თვისებები: მოყვასის სიყვარული, შრომისმოყვარეობა, მოვალეობის გრძნობა და მორალური სიწმინდე.

ქალბატონი ნინო ჯავახიშვილის ყოველდღიური ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითოა არა მარტო სამედიცინო საზოგადოებისთვის, არამედ საზოგადად ქართული ინტელიგენციისთვის. ასეთი პიროვნებები საკუთარი მოღვაწეობით იმედს გვიტოვებენ, რომ ქართველი ერი უკვდავია.

ქალბატონო ნინო, გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და კიდევ მრავალი წლის სიცოცხლეს თქვენი ახლობლებისა და ქართველი ერის გასახარად.

**გიორგი ლობჟანიძე,**
**საქართველოს ექიმთა ასოციაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი**

## ძლიევაი, ქალბატონო ნინო!

ნინო ჯავახიშვილი ღირსეული წარმომადგენელია ჯავახიშვილთა ძველი გვარისა. ეს საგვარეულო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა XIV-XIX საუკუნეების ფეოდალურ ქართლში. სწორედ ქართლში, თეძმის ხეობაში, შეიქმნა ჯავახიშვილთა საფეოდალო (XV ს.-დან სათავადოძ – საჯავახიანო. XIII-XIV სს.-ის მიჯნაზე მოღვაწე ჯავახ თორელიდან (გვარის დამფუძნებელიძ მოკიდებული ამ საგვარეულომ საქართველოს აღუზარდა არა ერთი ღირსეული მამულიშვილი, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს პოლიტიკურ ცხოვრებას, მეცნიერებას თუ ხელოვნებას. მათი ჩამოთვლიდან ჩვენ თავს შევიკავებთ. აღვნიშნავთ კი, რომ ქალბატონი ნინოს მამა – ალექსანდრე ჯავახიშვილი XX საუკუნის საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე იყო.

ქართველი ანატომი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ნინო ჯავახიშვილი მსოფლიოში აღიარებული მეცნიერია. იგი აქტიური საზოგადო მოღვაწე და მეცნიერების ორგანიზატორია. წარმატებით შეისწავლის გულ-სისხლძარღვთა და პერიფერიული ნერვიული სისტემის მორფოლოგიის საკითხებს. ნინო ჯავახიშვილის დიდმა სამეცნიერო ავტორიტეტმა განაპირობა, რომ იგი სხვადასხვა დროს იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საკავშირო საზოგადოებისა და გერონტოლოგთა საკავშირო საზოგადოებისა. ქალბატონი ნინო სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო საზოგადოების წევრია.

ნინო ჯავახიშვილის ყოველი გამოჩენა, მისი ყველა გამოსვლა კოლეგებისა და, ზოგადად, ჩვენი საზოგადოების, დიდი სიხარულია. ისღა დამრჩენია, ძლიერად და ჯანმრთელად მყოფ 95 წლის ამაგდარ მეცნიერს შევუძახო: ძლევაი, ქალბატონო ნინო, მრავალჟამიერ!

**როინ მეტრეველი.**
**აკადემიკოსი**




## იუბილარს ულოცავენ

**ქალბატონო ნინო,**

ჩემთვის, როგორც განათლების და მეცნიერების მინისტრისთვის, დიდი პატივია მოგილოცოთ 95 წლის იუბილე. თქვენ გამორჩეული მამულიშვილი და მეცნიერი ბრძანდებით. თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობისა და კვლევების მრავალფეროვნების შესახებ ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ უანგარო და სამაგალითო შრომისთვის, რასაც თქვენ ათეული წლების მანძილზე ეწევით ჩვენი ქვეყნის და მეცნიერების განვითარების სამსახურში. ამ პერიოდის მანძილზე თქვენ აღზარდეთ არაერთი სახელოვანი მეცნიერი. მეამაყება, რომ თქვენი სახით ჩვენს მომავალ თაობას ჰყავს სამაგალითო და მისაბაძი პიროვნება, პედაგოგი და მეცნიერი.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას.

დიდი პატივისცემით

**ნიკა გვარამია,**
**განათლებისა და მეცნიერების მინისტრი**

---

**ქალბატონო ნინო!**

ჩვენი თანამოქალაქეებისა და, რაღა თქმა უნდა, პირადად ჩემი სახელით გილოცავთ დაბადების დღეს. მედიცინის და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თქვენი სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგები ფასდაუდებელ სიმდიდრედ დარჩება ქართული მეცნიერების საგანძურში.

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და დიდხანს სიცოცხლეს საყვარელ ადამიანებთან ერთად, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

პატივისცემით

**გიგი უგულავა,**
**ქ. თბილისის მერი**

---

**ქალბატონო ნინო, უსათნოესო და უკეთილშობილესო ქალბატონო,**

თქვენ ბრძანდებით სიმბოლო სიბრძნის, სიდარბაისლის და აკადემიურობისა, ერისა და საქმისადმი თავდადებისა და მუდმივი მსახურებისა, სიმბოლო ქართველი მეცნიერი ქალისა, რომელმაც კარგად იცის თავისი ქვეყნის ფასი და მუდმივად იღვწის მისი სიკეთისა და ინტელექტუალური განვითარებისთვის.

წარმოუდგენელია ქართული სამედიცინო მეცნიერება თქვენს გარეშე.

ვამაყობთ, რომ ჩვენს კედლებში გაიზარდეთ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მისი აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, მთელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი გილოცავთ 95 წლის იუბილეს. თქვენ შექმენით ეპოქა და ბედნიერები ვართ, რომ ამ ეპოქაში თქვენთან ერთად გვიწევს ცხოვრება და მოღვაწეობა.

მოწიწებითა და საუკეთესო სურვილებით

**ზურაბ ვადაჭკორია,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი**

---

**ივანე ჯავახიშვილის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, მსურს გამოვხატო ღრმა პატივისცემა პროფესორ ნინო ჯავახიშვილის მიმართ და მივულოცო მას იუბილე.

თანამედროვე ქართული მედიცინისა და პედაგოგიური კულტურის შექმნაში ქალბატონმა ნინომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მისი დამსახურება ქართული მეცნიერებისა და განათლების წინაშე უსაზღვროა, ქალბატონი ნინო ჯავახიშვილების უნიკალური გვარის ღირსეული გამგრძელებელია.

ათეული წლებია, რაც აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის სკოლას. გვსურს სამეცნიერო ასპარეზზე ქალბატონი ნინოს მომავალი წინსვლის თანაზიარნი გავხდეთ.

კიდევ ერთხელ ვულოცავ იუბილეს ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას.

პატივისცემით

**გიორგი ხუბუა,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი**

## გამოჩენილი მეცნიერი და სახელოვანი მამულიშვილი

დღეს, როდესაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, შესანიშნავი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში კლინიკური მორფოლოგიის დამფუძნებლის, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის საიუბილეო თარიღი აღინიშნება, მინდა ჩემი ულრმესი პატივისცემა და გულწრფელი აღფრთოვანება გამოვხატო ამ დიდებული ქალბატონის მიმართ, რომელმაც ღრმაშინაარსიანი და ლამაზი, შემოქმედებითი მოღვაწეობით და კეთილი საქმეების კეთებით აღსავსე გზა განვლო.

აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი ნაწილი სისხლძარღვთა სისტემის განვითარების პრობლემებს მიეძღვნა, რაც ნათელი მაგალითია ექსპერიმენტული კვლევის მორფოლოგიაში დანერგვისა და მიღებული შედეგების დაკავშირებისა პრაქტიკული მედიცინის მოთხოვნებთან. ამ გამოკვლევებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სისხლძარღვთა პლასტიკის განვითარებაში, დღემდე არა აქვს ანალოგი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონმა ნინომ პირველმა დაადგინა სისხლძარღვთა პროთეზში განვითარებული მიკროცირკულაციური კალაპოტის მოდულის არქიტექტონიკის კავშირი პროთეზის ბოჭკოების განლაგების არქიტექტონიკასთან. მან პირველმა განახორციელა პროთეზების ელექტრონულ-მიკროსკოპული გამოკვლევა.

დიდმა მკვლევარ-ანატომმა აკადემიკოსმა ნინო ჯავახიშვილმა გაზარდა, გააძლიერა და საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა ქართული ანატომიური სკოლა.

ძვირფასო ქალბატონო ნინო, გულითადად და მხურვალედ გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს და გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს ქართული მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისთვის.

**ფრიდონ თოდუა,**
**აკადემიკოსი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი ჩევანში ამზადებს?



**ამერიკის შეერთებული შტატები აყენებს წინადადებას, მიეწოდოს საქართველოს იარაღი და საბრძოლო მასალები 100 მილიონზე მეტი დოლარის ოდენობით. ამის შესახებ გვაცნობეს რუსეთის სპეციალური სამსახურების წყაროდან**

„სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ იარაღის მიწოდება იგეგმება არა ამერიკის მთავრობის ხაზით, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობის წინადადებითა და მხარდაჭერით“, იტყობინებიან სხვა უწყებებიც. თბილისის მოთხოვნის პასუხად რომელიღაც კომპანია „ბერინგტონ ალიანსი“ აყენებს წინადადებას, მიეწოდოს საქართველოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის, ტანკსაწინააღმდეგო სისტემები და სარაკეტო კომპლექსები, ავტომატური სასროლი იარაღი და მისი საბრძოლო მასალები. როგორც იუწყებიან, საბრძოლო მასალებისა და ვაზნების რაოდენობა თითქოსდა, ათეულ მილიონობით ცალს შეადგენს.

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში ეს ინფორმაცია დაადასტურეს. წყარომ გენერალურ შტაბში გვაცნობა, რომ კავკასიაში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა სასწრაფოდ გაეზარდა არმიის შესაძლებლობა ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის. „საქართველოსთვის აღნიშნული შეიარაღების მიწოდება ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან სრულად შეესაბამება საქართველოს სამხედროების დასკვნებს“, – აღნიშნა მაღალი თანამდებობის სამხედრო პირმა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჯერ კიდევ აგვისტოში სდებდა ბრალს ამერიკის შეერთებულ შტატებს იმაში, რომ იგი აწვდის საქართველოს იარაღს. უფრო ადრე რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი ნატოსთან დიმიტრი როგოზინი დაემუქრა ამერიკას სანქციებით საქართველოსთვის იარაღის მიწოდების გამო.

გასულ კვირას მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელმა ალექსანდრ შლიახტუროვმა გვაცნობა, რომ საქართველოს სამხედრო დახმარებას უწევენ ნატოს ქვეყნები, უკრაინა და ისრაელი. ნატო აწვდის სასროლ იარაღს და საბრძოლო მასალებს, ამერიკის შეერთებული შტატები წვრთნის პირად შემადგენლობას, ისრაელი ჰყიდის მას უპილოტო საფრენ აპარატებს, უკრაინა კი – ტანკებს და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებს.

უკრაინა საქართველოს იარაღს აწვდის „არა სახელმწიფო ხაზით, მაგრამ არც უმაღლესი ხელისუფლების ნების გარეშე“, – აღნიშნა მაშინ შლიახტუროვმა. ამჟამად სპეციალური სამსახურების წყარო გვარწმუნებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ემზადება იმოქმედოს უკრაინის ნიმუშით.

მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსი არ გამორიცხავს, რომ საქართველოს შეუძლია კვლავ „ველარ გაუძლოს ცდუნებას და გამოიყენოს ძალა“ ჟირვეული რესპუბლიკების – აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მოსათვინიერებლად. „დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება არა მხოლოდ უარს ამბობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აღიარებაზე, არამედ ყოველმხრივ ცდილობს დაიბრუნოს ის ქვეყნები, რომლებიც დამოუკიდებლები გახდნენ“, – განმარტა მან.

**ვიქტორ კუზნეცოვი**

Час

# სააკაშვილი და მისი საბრალო ხალხი

**ცნობამ შეერთებული შტატების მიერ საქართველოსთვის 100 მილიონი დოლარის ღირებულების იარაღის მიყიდვის შესახებ თბილისში სენსაცია ვერ გამოიწვია. ქართველები სხვა სიურპრიზს განიხილავდნენ. ეს არის ხელისუფლების მორიგი საჩუქარი პენსიონერებისთვის. მათ მიმდინარე წელს მეორედ გაუზარდეს პენსიები. მთელი... 5 ლარით. დღევანდელი კურსით – ეს 3 ამერიკული დოლარია. შეიძლება იყიდო 10 „ზედმეტი“ ბატონი. 2 ლიტრი რძე. კინოშიც კი წახვიდე. ერთხელ**

უნდა გიხაროდეს 600 ათასზე მეტი ქართველი პენსიონერებისა და ინვალიდების გამო. ედუარდ შევარდნაძის დროს ისინი ღებულობდნენ მხოლოდ 14 ლარს – 7 დოლარს. მაგრამ ამ საცოდავი თანხისთვისაც თვეობით უნდა გელოდა. ახლა კი პენსიამ გაანგრია „ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი დონე“ – 80 ლარი. და ამ 48 დოლარს ეროვნულ ვალუტაში უხდიან დროულად. სხვათა



შორის, ბიუჯეტს საპენსიო დანამატები დაუჯდება დაახლოებით 4 მილიონი ლარი ყოველთვიურად.

პრობლემა ის არის მხოლოდ, რომ მთელი თვის განმავლობაში ამ პენსიით ცხოვრება შეიძლება მხოლოდ თეორიულად. რეალურად ამ თანხით კმაყოფილი შეიძლება იყოს მხოლოდ რომელიმე ასკეტი, რომლისთვისაც ბუნებრივი აირი, ელექტროობა და სითბო – უსარგებლო ბედნიერებაა.

ოფიციალურად საქართველოში საცხოვრებელი მინიმუმი 126 ლარია. დოლარზე გადაანგარიშებით ეს 75 დოლარია. საიდან გაჩნდა ეს ციფრი – არავინ იცის, მიხეილ სააკაშვილის ეკონომიკური გუნდის გარდა.

უარესია, რომ პენსიონერები თავიანთ უბედურებაში მარტონი როდი არიან. ორმა ესტონელმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ქართველ სპეციალისტებთან ერთად საქართველოში მოაწყო გამოკვლევა, რომლის შედეგებიც შოკში გაგდებენ. თურმე, გამოკითხულთა 37 პროცენტი (ქვეყნის 200 მოქალაქე 15-დან 74 წლამდე) აღიარებს: შემოსავალი მათ საკვებადაც არ ჰყოფნით. 34 პროცენტი არ შიმშილობს, მაგრამ არ შეუძლია ახალი ტანსაცმლის ყიდვა. 24 პროცენტი თავს უფლებას აძლევს ჩაიცვას და დაიხუროს კიდეც. რესპონდენტთა 4 პროცენტს შეუძლია შეიძინოს „ხანგრძლივი გამოყენების საგნები“. მხოლოდ 1 პროცენტს კი შეუძლია იყიდოს ბინა, აგარაკი ან კიდევ რაიმე ამგვარი. ამ დროს რესპონდენტთა 75 პროცენტი 2009 წელს არ მუშაობდა – საერთოდ, ან პერიოდულად.

საინტერესოდ განაწილდა ხმები შეკითხვაზე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. მას მაღალი უწოდა გამოკითხვის მონაწილეთა 7 პროცენტმა (1999 წელს მოწყობილ ანალოგიურ გამოკვლევაში ასეთი იყო 19 პროცენტი), საშუალო – 32-მა (44), დაბალი – 51 (27) პროცენტმა.

და რაც მთავარია – არაფერი კარგი უახლოეს მომავალში ქვეყნის მოქალაქეს არ ელოდება. საგარეო ვალი, 31 ოქტომბრის მდგომარეობით, თითქმის 5,6 მილიარდ ლარს შეადგენს. და მათი გადახდა უნდა დაიწყოს გაისად. გაეროს რეიტინგში, რომელიც აფასებს ცხოვრების დონეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, საქართველომ 89-ე ადგილი დაიკავა. ყოფილი პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი ვარაუდობს 2010 წელს ეკონომიკური ზრდის 5-პროცენტიან შემცირებას. ეს იმ დროს, როდესაც მთავრობა ოპტიმისტურად 2-პროცენტიან ზრდას გვპირდება.

– ჩვენ უკვე შევეჩვიეთ სააკაშვილის სიცრუეს, მაგრამ ეს უკვე ნამეტანია, – განაცხადა ნოღაიდელმა პრესკონფერენციაზე. – განსაკუთრებით გვაშფოთებს, თუ როგორ ნაწილდება ბიუჯეტი. მთავრობა ძალოვანებზე ხარჯავს პრაქტიკულად ორჯერ მეტს, ვიდრე ჯანმრთელობის დაცვაზე ან განათლებაზე ერთად აღებული.

**კირილ კოლოდინი**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ევროკავშირის პრეზიდენტის არჩევნების ახალი ფავორიტი გახდა ნაკლებად ცნობილი ბელგიის პრემიერ-მინისტრი**

ბელგიაში გერმან ვან რომპეიმ შეძლო თავიდან აეცილებინა შინაგანი განხეთქილება სხვადასხვაენოვან თემთა შორის დაპირისპირებაში. ვარაუდობენ, რომ მას შეუძლია მიაღწიოს იგივეს უკვე ევროკავშირის შიგნით. უფრო ადრე ევროკავშირის ხელმძღვანელის პოსტზე პირველობას ანიჭებდნენ ბრიტანეთის ექს-პრემიერ ტონი ბლერს.

**რუსეთის ფედერაციიდან ისრაელელი დიპლომატის გაძევების საბაბი გახდა ქრთამი მმაჩის ბიუროს წევრისთვის**

ზოგიერთი მონაცემებით, ბიუროს თანამშრომლები დსთ-ს და ბალტიის ქვეყნებთან რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკებს უხდიდნენ ინფორმაციისთვის პოტენციური რეპატრიანტების შესახებ. ერთ-ერთი ვერსიით, ორგანიზაციის მთავარი კონსული შმუელ პოლიშჩუკი დააკავეს რუსი ჩინოვნიკისთვის ფულის გადაცემის დროს.

**პუტინი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან პირთა სამეულში მოხვდა, მედვედევი – სიის მეორე ნახევარშია**



სიას სათავეში უდგას ბარაკ ობამა. მეორე ადგილი უკავია ჩინეთის სახალხო-რესპუბლიკის ლიდერს ხუ ძინტაოს. პუტინმა დაიკავა მესამე ადგილი. მედვედევი – 43-ე ადგილზეა, იგი ჩამორჩა ევროპის თითქმის ყველა ლიდერს, აგრეთვე თავისი აპარატის ხელმძღვანელს იგორ სეჩინს. ევროპელ ლიდერთაგან მხოლოდ სარკოზია მედვედევს ქვემოთ. უკანასკნელ ადგილზეა უგო ჩავესი.

**იაპონიის მთავარი მეტეოთანამგზავრი წყობილებიდან გამოვიდა**

„მზესუმზირაში“ ფუნქციონირება შეწყვიტა სტაბილიზაციის სისტემამ, რომელიც დედამიწაზე თვალთვალის კამერების მუშაობას უზრუნველყოფდა. იქიდან აღარ მოდიოდა სიგნალებიც. ეს თანამგზავრი გაუშვეს ოთხი წლის წინათ. 2006 წელსაც იგი ოცი საათის განმავლობაში გამოვიდა წყობილებიდან.

**ევროპარლამენტის დეპუტატს მიუსაჯეს ორი წლით პატიმრობა თავისი მდივნისთვის ხელფასის მოპარვის გამო**

ბრიტანელი პარლამენტარი მთელი წლის განმავლობაში თავის საიდუმლო საბანკო ანგარიშზე რიცხავდა თავისი მდივნის ლინდსი ჯენკინსის ხელფასის დიდ ნაწილს. ეს ქალბატონი, რომლის ხელფასიც 3 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა თვეში, რეალურად ღებულობდა მხოლოდ 500 სტერლინგს. დანარჩენს უაიზი თავის ჯიბეში იდებდა.



# მოლაპარაკებამ კავკასიის შესახებ წარმატებას ვერ მიაღწია

**ჟენევის ეროვნებათა სასახლეში გაიმართა მოლაპარაკების მერვე რაუნდი კავკასიაში უშიშროების საკითხებზე რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დელეგაციების, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით. მუშაობა ორ ჯგუფში მიმდინარეობდა. პირველში, რომელიც ეძღვნებოდა უშიშროებისა და სტაბილურობის საკითხებს, იხილავდნენ შეთანხმების პროექტებს ძალის გამოუყენებლობის შესახებ თბილისსა და სოხუმს, აგრეთვე თბილისსა და ცხინვალს შორის. გარანტებად უნდა გამოვიდნენ რუსეთი და სხვა შუამავლები – გაერო, ევროკავშირი და ეუთო**

მოლაპარაკების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ქართველებმა განაცხადეს, რომ ამ შეთანხმებებში საქართველო უნდა მოიხსენიებოდეს, როგორც „აგრესიის მსხვერპლი“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „ძნელია რაიმე პოზიტიური შედეგების იმედი გვქონდეს“, ვინაიდან რუსეთი, თითქოსდა, „არ იცავს არავითარ საერთაშორისო სამართლის ნორმებს“. ქართველებმა ბრალი დასდეს რუს სამხედრო მოსამსახურეებს აფხაზეთში, რომ ისინი ესროდნენ საქართველოს ავტობუსს საზღვრისპირა რაიონში, აგრეთვე დააკავეს ხუთი ქართველი მეთევზე, რომლებიც თევზს იჭერდნენ აფხაზეთის სანაპიროზე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაკავებულებმა დაარღვიეს სასაზღვრო რეჟიმი აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში. რუსი მესაზღვრეები ეხმარებიან აფხაზებსა და სამხრეთოსეთელებს თავიანთი საზღვრების დაცვაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებამ ხელი არ შეუწყო მოლაპარაკების წარმატებას. მხარეები კი ხომ აპირებდნენ, დაემუშავებინათ შეთანხმების მნიშვნელოვანი პროექტები ძალის გამოუყენებლობის შესახებ. უნდა გავიხსენოთ, რომ ამ შემოდგომით ევროკავშირის დავალებით მუშაობდა ექსპერტების ჯგუფი შვეიცარიელი დიპლომატის ქალბატონ ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით, რომელმაც დაასკვნა, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველომ სამხრეთ ოსეთში დაიწყო ხუთდღიანი ომი, რუსეთმა კი მიიღო საპასუხო ზომები.

კვლავინდებურად ვერ მოხდა პროგრესი მეორე სამუშაო ჯგუფშიც, რომელიც ჰუმანიტარულ პრობლემებს განიხილავდა. იქ დისკუსია მიმდინარეობდა ოთხი მიმართულებით: კონფლიქტის მომდევნო რეაბილიტაცია, კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფა (მწვავედ დგას წყლით მომარაგების საკითხი), გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობა, ქონების დაბრუნებისთვის ხელშეწყობა. მართალია გაეროსა და ეთოს აქვთ დირექტიული დოკუმენტები, რომლებიც ახდენენ ამ პრობლემების რეგლამენტირებას, მაგრამ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები ჟენევაში მათ, უბრალოდ, უგულებელყოფენ.

მერვე რაუნდის წინა დღით გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ვალტერ კელინმა, რომელიც ახლახან დაბრუნდა სამხრეთ ოსეთიდან, ჟენევაში განაცხადა, რომ რესპუბლიკის აღდგენა მიმდინარეობს ნელა. მან იქ დაითვალა სულ ცოტა 680 დანგრეული საცხოვრებელი სახლი და ადმინისტრაციული შენობა. დაინგრა ქართველთა და ოსთა სხვა ბევრი სახლიც. ამავე დროს საქართველო-ოსეთის ჯერ კიდევ პირველი კონფლიქტის დროს 1991-1992 წლებში დაზარალებული ოსები დღემდე ცხოვრობენ ცუდ საერთო საცხოვრებლებში. საქართველოში კი ეთნიკური ოსები განიცდიან მათდამი ცუდ დამოკიდებულებას.

საქართველო დაბეჯითებით მოითხოვს ქართველი ლტოვილების ავტომატურ დაბრუნებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მაგრამ რესპუბლიკების წარმომადგენლები უპასუხებენ, რომ განხილული უნდა იქნეს თითოეული დამბრუნებლის განაცხადი ცალცალკე, სათემოს აზრის გათვალისწინებით და გამორიცხული უნდა იქნენ ის პირები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ „2008 წლის 8 აგვისტოს აგრესიაში“. ტალიავინის მოხსენება ადასტურებს, რომ სამხრეთ ოსეთში მცხოვრებმა ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ წინა დღით დატოვა ერთდროულად სახლები, დარჩნენ მხოლოდ მოხუცები, და მონაწილეობა მიიღო ომში საქართველოს არმიის შემადგენლობაში. აუცილებელია აგრეთვე ლტოლვილთა შესახებ მონაცემების ერთიანი ბაზა, რათა გამორიცხული იქნეს ორმაგი ანგარიში და უზრუნველყოფილი იქნეს დახმარების განაწილების სისწორე.

მოლაპარაკებაში მონაწილე რუსმა დიპლომატმა ანონიმურ პირობებში გვაცნობა, რომ „მოწესრიგების პროცესის ხელოვნური ფორსირება არაპროდუქტიულია, უწინარეს ყოვლისა უნდა აღვადგინოთ ნდობა მხარეებს შორის“. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ მხარეების პოზიცია მთელ რიგ შემთხვევებში „მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან“.

**ვარვარა სემიონოვა**

ВРЕМЯ
НОВОСТЕЙ

**პერიოდიკა**

# დემოკრატია და დიქტატურა

**ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მე-10, მე-11 ნომრები**

**დღევანდელ არეულ დროში რას უნდა ჩამოეყრდნოს ყოველდღიურობით აფორიაქებული და რწმენაშერყეული ადამიანის მზერა, რა უნდა გაიხადოს ზნეობრივ ორიენტირად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში მკითხველს დაეხმარება ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე), რომლის მე-10 და მე-11 ნომრებს მოკლედ მიმოვიხილავთ.**

**თეიმურაზ დოიაშვილის** იდეას **ოთარ ჩხეიძის შემოქმედების შემსწავლელი ცენტრის** ჩამოყალიბების შესახებ ეხმიანება **ელგუჯა თავბერიძე.** მისი აზრით, ეს დროული და აუცილებელი საქმეა, რადგან ოთარ ჩხეიძის შემოქმედება უნდა იქცეს ზნეობრივ ორიენტირად, ჩვენი ვინაობისა და რაობის შესამეცნებლად. ოთარ ჩხეიძემ XX საუკუნის მემატიანობა გასწია თავისი მასშტაბური სამწერლო მოღვაწეობით: რომანებით, მოთხრობებით, ესეებით, მწვავე და აქტუალური პუბლიცისტური წერილებით. ის მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ჩვენს დროში შერყეულ სულიერებას შეეწეოდა. ამგვარი ცენტრების დაარსება ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პროპაგანდასაც.

**„პოეზია სამყაროს სიზმრის ახსნაა“** – ამგვარი მშვენიერი მეტაფორით განმარტა მარიამ წიკლაურმა ეს აუხსნელი ფენომენი, ამ პოეტს ესაუბრება **თამარ შაიშმელაშვილი** და მასთან ერთად საინტერესო საკითხებს განსჯის. კითხვას, თუ რამ გამოიწვია ბოლო დროს ხელოვნების სფეროში ქალთა მომრავლება, პოეტი ასე პასუხობს: „ქალის სამყარო გაცილებით ახლოსაა ხელოვნებასთან, ქმნადობასთან, ფანტაზიასთან, სულიერებასთან, ნაყოფიერებასთან, სიმშვიდესთან, სიყვარულთან. ეტყობა, სამყარომ იგრძნო ამის უკმარობა და ქალის რესურსი მეტად აამუშავა“.

თანამედროვე პროზა ამ ნომერში წარმოდგენილია **ბესო ხვედელიძის** აბსურდის ესთეტიკით შესრულებული ლირიკული მონოლოგით, სახელწოდებით **„სიზმრების ახსნა“.** ავტორი კაენის მიერ აბელის მკვლელობის ბიბლიურ ამბავს თანამედროვეობის სიბრტყეზე გადაათამაშებს და ცნობილ ანდაზას „ძმა ძმისთვისაო“ ირონიულ კონტექსტში წარმოაჩენს. ეს მხატვრული ტექსტი ყურადღებას იქცევს ექსპერიმენტულობით. ავტორს სურს აღიარებულ ფასეულობათა გაუფასურება ახალი რაკურსით წარმოაჩინოს.

**ბიძინა ჩხეიძე** მოთხრობაში **„მამაკაცის გული“** კლასიკურ სტილში ჰყვება ამბავს, რომელიც ეხმიანება ვლადიმირ ნაბოკოვის „ლოლიტას“. მთავარი გმირი, შემთხვევის წყალობით, რომანს გააბამს ხანდაზმულ ქალბატონთან და ეს შეხვედრა მას სიყვარულის არსზე დააფიქრებს. ავტორი ცდილობს ჩაწვდეს და გამოხატოს ადამიანთა ხორციელი ლტოლვების რაობა.

ამ ნომერში ყურადღებას იქცევს **მამუკა წიკლაურის** ლექსები. პოეტი შეიგრძნობს ქართული სიტყვის მუხტსა და ენერგიას და თავის ფიქრსა და განცდას ემოციურად გადმოგვცემს. იგი მითებიდან, ლეგენდებიდან და წარსულიდან გამოიხმობს გმირებს, მუხლჩაუხრელ ვაჟკაცებს, მზეთუნახავებს, რაინდებს და დღევანდელობის გადასახედიდან უმართავს დიალოგს:

**„რა ენაზე და რა სიტყვებით
ველაპარაკოთ
ყამარს, ამირანს, ბადრსა და
უსუპს –
ლეგენდებში და თქმულებებში
გადასულ სულებს,
რა ენაზე და რა სიტყვებით
ველაპარაკოთ?“**

ერთი ლექსის რუბრიკით წარმოდგენილია **ნატა ვარადას** ლექსი **„ადრიანეს გალობა“,** რომელიც ეძღვნება მამა ანდრიას (ერისკაცობაში პაატა ყურაშვილს), რომელიც კამანის წმინდა მიწაზე, იოანე ოქროპირის ტაძრის წინამძღვრად ყოფნისას, 1993 წლის 5 ივლისს დახვრიტეს. **საბა სულხანიშვილი „პირველ შთაბეჭდილებაში“** ეხმიანება ამ ლექსსაც და მამა ანდრიასადმი მიძღვნილ კრებულსაც, რომელშიც მამა ანდრიაზე მოგონებებია თავმოყრილი: „მამა ანდრიას ამქვეყნიური ბიოგრაფია, მოზაიკური პრინციპით შედგენილი, უპირველესად, „მოქცევაი ქართლისაი“ ასოციაციას იწვევს“.

**„ქართული სულიერი კულტურა“** – ასეა დასათაურებული იტალიელი მეცნიერის **ვინჩენცო პოჯის** წერილი, რომლითაც ის ეხმაურება იტალიურ ენაზე ნათარგმნ **გაგა შურღაიას** ამავე სახელწოდების წიგნს, რომელშიც იოანე საბანისძის „აბოს წამებაა“ გამოკვლეული. ავტორის აზრით, „საგულისხმოა, რომ ქართული სულიერების ხატად წარმოჩენილია პიროვნება, რომელიც საქართველოში არ დაბადებულა და ეს ნიშანია სხვათა კულტურის მიმართ გახსნილობისა და რომელიც პირადად მეც დიდი სიამოვნებით შევნიშნე ქართველებში“.

ფოლკლორულ ანსამბლ **„ერისიონს“** კარგად იცნობენ ჩვენშიც და უცხოეთშიც. **რიტა ბაინდურაშვილი** ნარკვევში **„ერისიონის“ საგანძური“** წარმოაჩენს ანსამბლის წარსულსა და დღევანდელობას. ანსამბლის ხელმძღვანელის ჯემალ ჭკუასელის შეფასებით: „ეს არის ფოლკლორზე დამყნობილი, მისი ფესვებიდან აღმოცენებული თანამედროვე ხალხური ხელოვნება, დიდი შოუ, რომელიც თავის თავში აერთიანებს ძველსაც, ვიწროდ ეროვნულს და თანამედროვესაც, ბევრად გლობალურს, რაც მის წარმატებას განაპირობებს“.

ჩვენ გარშემო არიან, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი, მაგრამ ზნეობითა და პროფესიონალიზმით გამორჩეული პიროვნებანი, რომლებიც თავიანთ საქმეს უხმაუროდ აკეთებენ. **ეკა ბუჯიაშვილი** წერილით – **„სევდიანი მელოდია... მკითხველისთვის“** არაბული ლიტერატურის მთარგმნელს, თარჯიმანსა და მრავალმხრივ საინტერესო ადამიანს **მერაბ ზურაბაშვილს** უფრო ახლოს გვაცნობს.

ჟურნალის მ-10 და მე-11 ნომრებში გრძელდება **გივი ალხაზიშვილის** მემუარების **„მომავალი წარსულის“** ბეჭდვა. მწერალი თავის მხატვრულ ბიოგრაფიას წერს და ფონად ჩვენი უახლოესი წარსული აქვს. ამ მოგონებებში რელიეფურად გამოიკვეთება ცნობილ ადამიანთა პორტრეტები. მწერალი ცდილობს ობიექტურობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაფერი მაინც მისი სუბიექტურობის პრიზმაში გადატყდება, მოვლენები მისი თვალთახედვით ფასდება, რაც არაერთგვაროვან გამოხმაურებას იწვევს.

**პაატა ჩხეიძემ** საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში წაიკითხა ლექცია თემაზე: **„კონსერვატიზმის ისტორიული და ფილოსოფიური საწყისები“.** ცნობილმა პოლიტოლოგმა მრავალ საინტერესო საკითხზე ისაუბრა და შეეცადა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების სიღრმისეულად ახსნას. მან აღნიშნა: „1907 წლის შემდგომ საქართველომ განვითარების მცდარი გზა აირჩია და, მიუხედავად დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებისა, კვლავაც იმავე გზას ვადგავართ. ბოლო შეცდომა კი იყო პირდაპირი არჩევნები, რამაც მასები ქუჩაში გამოიყვანა და დასაბამი მისცა რევოლუციებს საქართველოში. გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ როგორც სხვაგან, ასევე ჩვენშიც ეს ვითარება რადიკალიზმმა, თანასწორობამ და დემოკრატიამ მოიტანა“.




**გრიგოლ აბაშიძემ** რომანებსა და პოეზიასთან ერთად, შთამომავლობას საინტერესო სტატიები და მემუარები დაუტოვა, რომლებიც შეიკრიბა და გამოიცა **ემზარ კვიტაიშვილის** წინასიტყვაობით. ჟურნალში მკითხველი მწერლის მრავალფეროვანი ცხოვრების საგულისხმო ეპიზოდებს გაეცნობა.

**შოთა ბოსტანაშვილი** წერილში **„სიტყვა ლია სტურუას პოეზიაზე“** წარმოაჩენს ამ უდავოდ გამორჩეული პოეტის თავისთავადობას. ავტორი აანალიზებს მისი ლექსების მხატვრული სისტემის ცალკეული კომპონენტის რაობას, მეტაფორულობის არსს.

ანალიტიკური აზროვნებითა და მსჯელობის სიღრმით ყურადღებას იქცევს სტუდენტ **ლალი ჩხეიძის** წერილი **„დემოკრატია და დიქტატურა“.** წერილში გამოთქმულია თამამი თვალსაზრისები საქართველოსთვის სასურველი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმების შესახებ. ავტორი ეხმაურება ამ თემაზე გამოქვეყნებულ სტატიებს და აშკარა სიმპათიას ავლენს კონსტიტუციური მონარქიის მიმართ. რაც მთავარია, ავტორი დაასკვნის, რომ: „დემოკრატია (საპარლამენტო თუ საპრეზიდენტოძ) ყოველთვის შეიძლება გადაიზარდოს დიქტატურაში, თუ ქვეყანაში არ არსებობს ისეთი შემაკავებელი ძალები, როგორიცაა კანონის უზენაესობა, დამოუკიდებელი სასამართლო და დეცენტრალიზებული მთავრობა“.

ამავე ნომერში წაიკითხავთ **ნიზარ კაბანის** ლექსებს (არაბულიდან თარგმნა **ნინო დოლიძემ**ძ, **მარსელ ემეს** ნოველას „ცოლების ამკრეფი“ (ფრანგულიდან თარგმნა **ნინო ციმაკურიძემ**ძ.

იხ. 11 გვ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

**მოვუსმინოთ სპეციალისტებს**

# გრიპი გვიახლოვდება, რას გირჩევდით?

● თუ ცხვირსახოცში ან ხელსახოცში აცემინებთ და თუ ისინი ოთხკეცად არაა, შეიძლება სენის გადამდებ წყაროდ იქცნენ. მათი გამოყენების შემთხვევაშიც კი, აუცილებელია დაიბანოთ ხელი. თუ რაიმე მიზეზის გამო ცხვირსახოცი არა გაქვთ, დააცემინეთ მოხრილ იდაყვში, მაგრამ არა ხელში, რომელსაც მერე სხვას ჩამოართმევთ ან რამეს მოკიდებთ. თუმცა ეპიდემიოლოგები დაბეჯითებით გვირჩევენ, ეპიდემიის დროს უარი ვთქვათ ხელის ჩამორთმევასა და კოცნაზე.



● სახლში მისვლის დროს არა მხოლოდ ხელი და პირი დაიბანეთ, არამედ ცხვირიც მოიხოცეთ.

● გახსოვდეთ, რომ გრიპით დაავადებული განსაკუთრებით საშიშია დაავადებიდან პირველ მე-3-4 დღეს. ძლიერი ხველების, ბრონქიტის, პნევმონიის დროს ვირუსი ფილტვების ქსოვილში უფრო დიდხანს რჩება, მაშასადამე, ადამიანიც შეიძლება გადამდები იყოს 7 დღემდე.

● თუ ნიღაბს გამოიყენებთ, ის უნდა შეცვალოთ ყოველი 3-4 საათის შემდეგ. ნიღაბი ოთხფენოვანი უნდა იყოს, გაირეცხოს ცხელი წყლითა და საპნით ან ფხვნილით. მარტო დაუთოება, გაურეცხავად, არაჰიგიენურია.

● თუ ვინმე მახლობელია ავად, მომვლელმა უნდა ისარგებლოს ინდივიდუალრი ჭურჭლით. თუმცა თანამედროვე სარეცხი საშუალებები ან სოდა საკმარისად აუვნებლებენ თეფშებსა და ფინჯნებს. გირჩევთ აგრეთვე, ძირითადი გარეცხვის შემდეგ ჭურჭელს მდუღარე წყალი გადაავლოთ.

● გრიპის ვირუსები არამდგრადია სპირტის, ეთერის მიმართ. ამიტომ გირჩევთ ხელი გადაიბანოთ ოდეკოლონით ან არყით. ეს მათ აუვნებლებს.

● ვინც ავადმყოფს უვლის, უნდა ეცვას ბამბის ქსოვილის ტანსაცმელი, რომელიც რეგულარულად უნდა ირეცხებოდეს 95 გრადუსის ტემპერატურის დროს ნებისმიერი სარეცხი საშუალებით.

სხვათა შორის

გრიპის ვირუსი ვერ იტანს სადეზინფექციო საშუალებებს, გაცხელებას, მზის სხივებსა და სისუფთავეს.

**გვეკითხებიან – ვუპასუხებთ**

# ანტიბიოტიკები გვიხსნიან თუ დაგვღუპავენ?

**ვიყავი გრიპით ავად. ვიყენებდი სახალხო საშუალებებს – არ მიშველა. ვიყიდე ყველაზე თანამედროვე ანტიბიოტიკები. ვსვამ, მაგრამ უკეთესობას ვერ ვგრძნობ. რატომ?**

**თ.ბერძენიშვილი,** ჭიათურა.

არც ერთი წამალი არაა უვნებელი, ანტიბიოტიკები კი ორმაგად. ისინი ანადგურებენ არა მხოლოდ იმ მიკრობებს, რომლებმაც დაავადება გამოიწვიეს, არამედ „ურტყამენ“ მისადმი მგრძნობიარე მიკროორგანიზმებს, მათ შორის სასარგებლოსაც. „ანტიბიოტიკები – ეფექტიანი პრეპარატებია ბაქტერიული ინფექციების წინააღმდეგ, – აღნიშნავს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ტ.ბარბაქაძე. – მაგრამ ისინი უნდა დაინიშნოს ფრთხილად და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.



ისინი გვშველიან მხოლოდ ბაქტერიული ინფექციის დროს, მაგრამ უძლურები არიან, მავნეც კი, ვირუსული დაავადების დროს. ანტიბიოტიკების მიღების წინ უსათუოდ უნდა მოეთათბიროთ ექიმს.

**ამბობენ, რომ მეცნიერებმა აღმოაჩინეს გამაახალგაზრდავებელი საშუალება – ძველი ბაქტერიები. მართალია ეს?**

**გ.ბერიძე, ტყიბული**

**ჩვენი კომენტარი:** ბაქტერიებმა, რომლებმაც მარადიულ მყინვარებაში 20 ათასზე მეტი წელი გაატარეს, შეიძინეს გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობა. საცდელ თაგვს, რომელიც სიბერის გამო უნდა მომკვდარიყო, ბაქტერიული პრეპარატის მოქმედების შემდეგ შეუძლია ასწიოს 200 გრამი ტვირთი (რაც ადამიანისთვის ნახევარ ტონას შეესაბამებაძ.

დანარჩენი თავად განსაზღვრეთ.

სეოკი

# სტუმრის გული მოვიგეთ




პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს. გუშინ სეოკის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილთან ერთად მან პრესკონფერენცია გამართა.

„წლეულს მილანში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ თბილისში მომიპატიჟა, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. მცირე დროის განმავლობაში ბევრი რამ შევიტყვე თქვენს ქვეყანაზე, თუმცა, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ვიცი, რომ კრივი თქვენთან ერთ-ერთ პრიორიტეტულ სახეობად ითვლება. დარწმუნებული ვარ, იგი კიდევ უფრო განვითარდება და შევეცდები ამ საქმეში ხელი გაგიმართოთ“, — თქვა ბატონმა ვუმ. შემდეგ საერთაშორისო შეჯიბრებებზე მსაჯობის მწვავე პრობლემებს შეეხო, უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით თბილისში იმყოფება სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (AIBAძ პრეზიდენტი ტაივანელი ჩინ კოე ვუ, რომელმაც დაათვალიერა დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, კრივის დარბაზი სოფელ დილომში, შეხვდა

აზიელ ემისარს მიესალმნენ სეოკის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, ოლიმპიური ჩემპიონი, პარლამენტარი გიორგი ასანიძე, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე.

პრესკონფერენციის შემდეგ სტუმარ-მასპინძლები კახეთის რეგიონში გაემგზავრნენ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: მარცხნიდან — გიორგი ასანიძე, დავით ნამგალაური, გია ნაცვლიშვილი და ჩინ კოე ვუ.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ფეხბურთი

# ხვალ ვაკეში

**გუშინ გამთენიისას თბილისში ჩამოფრინდა ირლანდიის ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც ხვალ 14 საათზე მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონზე 21-წლამდელთა 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ქართველ თანატოლებს შეხვდება.**

**სადღეისოდ II ჯგუფის სატურნირო ცხრილი ასე გამო-**



**იყურება:** შვეიცარია — 10 (5 თამაშიდანძ, თურქეთი — 9 (4 თამაშიდანძ, ესტონეთი — 7 (4 თამაშიდანძ, საქართველო — 4 (3 თამაშიდანძ, ირლანდია — 3 (4 თამაშიდანძ, სომხეთი — 0 ქულა (4 თამაშიდანძ.

მასპინძლები მნიშვნელოვან ბრძოლას საგრძნობი დანაკლისით ხვდებიან — ტრავმის გამო პარტნიორებს ვერ დაეხმარება გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, „შალკეს“ ლეგიონერი ლევან ყენია.

„ასტონ ვილა“, „ნიუკასლი“, „ბირმინგემი“, „სელტიკი“, „ევერტონი“, „უიგანი“, „სანდერლენდი“, „იფსვიჩი“ — ეს ის ცნობილი კლუბებია, რომლის წარმომადგენლებიც კუნძულელთა სპორტულ ღირსებას დაიცავენ.

დავძენთ, რომ ხვალინდელ დუელს ნორვეგიელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება.

სპორტული ცეკვები

# „ოქროს საწმისი — 2009“

**შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში 13-15 ნოემბერს სპორტული ცეკვების მე-14 საერთაშორისო ტურნირი გაიმართება სახელწოდებით „ოქროს საწმისი-2009“. შეჯიბრებაში 12 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ. პროფესიონალები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ოფიციალურ ჩემპიონატშიც ჩაებმებიან ლათინოამერიკულ ცეკვებში.**

ტურნირის ორგანიზატორები არიან საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაცია, ცეკვების საკონკურსო სახეობათა კონფედერაცია, პროფესიულ მოცეკვავეთა ლიგა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.



შეჯიბრებასთან დაკავშირებით, გუშინ სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა. სიტყვებით გამოვიდნენ სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გალდავა, ისრაელის სპორტული ცეკვების ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ოდიკაძე, ნუგზარ რუხაძე, ივანე კანდელაკი.

**ბატალიები სამივე დღეს 10, 15 და 19 საათზე დაიწყება.**

**სურათზე: მარცხნიდან — გია გალდავა, თენგიზ გაჩეჩილაძე და ბორის ოდიკაძე.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ტრაგედია

# გერმანის შოკში

**განსაკუთრებით ფეხბურთის მოყვარულები, რაც გამოიწვია გერმანიის ნაკრების მეკარის რობერტ ენკეს თვითმკვლელობამ.**

**სამშაბათს რობერტი ბრემენიდან ჰანოვერისკენ დიდი სიჩქარით მიმავალ მატარებელს ჩაუვარდა ლიანდაგზე საგანგებოდ გაჩერებული ავტომანქანით. ყველამ იცოდა, რომ ის დეპრესიით იტანჯებოდა გულის მანკით ორი წლის ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებამდე თუ მივიდოდა, არავინ მოელოდა, ვინაიდან ამ ტრაგედიის შემდეგ ექვს დღეში ისევ „ჰანოვერის“ კარში იდგა.**

**გასულ სეზონში ის ბუნდესლიგის საუკეთესო მეკარედაც კი აღიარეს. სამშაბათს დილას ის „ჰანოვერის“ სტადიონზე ვარჯიშობდა, საღამოს კი ეს ტრაგედია მოხდა.**

**წერილში, რომელიც პოლიციამ აღმოაჩინა, რობერტი ბოდიშს უხდის ექიმებსა და ახლობლებს, რადგან ტყუოდა, როცა ამბობდა, რომ კარგად ვარო, სინამდვილეში კი თვითმკვლელობას გეგმავდა და აკი აღასრულა კიდეც.**



**გერმანიის ფეხბურთის კავშირმა განაცხადა, რომ ამ ტრაგედიის გამო 14 ნოემბერს აღარ შედგება ამხანაგური მატჩი ჩილეს ნაკრებთან.**

ინტერნეტიდან



## ფელპსო, კოსტიუმი გამოიცვალე!

**მართალია, სტოკჰოლმში, რომელიც მასპინძლობს მსოფლიო თასის მორიგ ეტაპს მოკლე წყალზე, 50 მეტრზე პირაღმა ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჩინელმა მოცურავე ქალმა ძინ ჩჟაომ — 26.08, რითაც 0,09 წამით გააუმჯობესა ერთი კვირის წინ მოსკოვში მირიკა გიუნტერის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი, მაგრამ ამას ისეთი სენსაცია არ გამოუწვევია, როგორიც გამოიწვია 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონის, ამერიკელი მაიკლ ფელპსის მარცხმა — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ფინალურ ჯგუფში რომ ვერ მოხვდა.**

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოცურავის მარცხს იმით ხსნიან, რომ, სხვა მონაწილეთაგან განსხვავებით, ის მაღალტექნოლოგიურ კოსტიუმში კი არ ცურავდა, არამედ საბანაო ტრუსებით.

შეგახსენებთ, რომ მომავალი წლიდან ყველა შეჯიბრებაზე იკრძალება კომბინეზონებით ასპარეზობა. მწვრთნელის თქმით, მას უნდოდა, რომ ფელპსს ამერიკის ჩემპიონატის წინ თავისი ძალები გამოეცადა უკოსტიუმოდ ცურვაში.

ისე, რომ სახელოვანი მოცურავე ფინალში მხოლოდ 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გავიდა.

## ტაისონს პაპარაცი შემოელახა

**გუშინწინ სახელგანთქმული მოკრივე, ყოფილი მსოფლიო აბსოლუტური ჩემპიონი ზემძიმე წონაში მაიკ ტაისონი ერთხელ კიდევ აღმოჩნდა ციხეში. ის პოლიციამ დააკავა ლოს-ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტში ფოტოგრაფისთვის სხეულის დაზიანების ბრალდებით. როგორც თავად დაზარალებული (მის ვინაობას არ ამჟღავნებენძ აცხადებს, ტაისონმა მას ერთხელ დაარტყა, ის წაიქცა, შემდეგ კი შუბლგახეთქილი საავადმყოფოში აღმოჩნდა.**



როგორც ტაისონის წარმომადგენელი ტემი ბრუკი თავის მხრივ აცხადებს, ექს-ჩემპიონი ცოლთან და ათი თვის ბავშვთან ერთად მიემგზავრებოდა, როდესაც მას ძალზე აგრესიული პაპარაცები მიესივნენ. ტაისონი თავს და ბავშვს იცავდა.

პოლიციის ცნობით, ტაისონიც და ფოტოგრაფიც ერთმანეთს შეურაცხყოფას აბრალებენ, ჭეშმარიტება კი გამოძიების შემდეგ დადგინდება. ახლა მოკრივე პოლიციის საკანშია, მალე იქ პაპარაცისაც მიიყვანენ.

## ფეხბურთზე შემოსავლიანი პორნო

**ერთ დროს ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი ქალი ევა როოში, ახლა კი პორნოვარსკვლავი სამირა სამერი ისევ მინდორზე გამოვიდა. ის მონაწილეობდა მამაკაცთა ორი გუნდის საქველმოქმედო მატჩში, თანაც მეტოქეები ექსტაზში მოჰყავდა, გასახდელში თითქმის გახდილი რომ ჩნდებოდა.**

თუმცა, როგორც ამბობენ, საფეხბურთო კარიერის გაგრძელებას ლამაზმანი არ აპირებს. მიზეზი კი ძალზე მარტივია: ქალთა ფეხბურთში იმდენ ფულს ვერასოდეს იშოვი, რასაც ევა (იგივე სამირა სამერიძ დღევანდელი საქმიანობით შოულობს.

ფეხბურთის თამაშის დროს 24 წლის ქალიშვილს ძალზე უჭირდა, ბოლოს, 2008 წელს გამოსავალს მიაგნო, თუ გართობის ინდუსტრიამ მას მიაგნო. ახლა მის შესახებ იციან მარტო გერმანიაში კი არა, მის საზღვრებს გარეთაც. სამშობლოში კი ის ძალზე პოპულარულია და წარმატებულიც გაზეთებსა და ტელევიზიაში.



◉ გიორგი მთაწმინდელი — 1000

# ღირსი მარადისობის...

**რა ვქნათ — უღირსნი შვილნი დიდი ქართველის, ღირსი გიორგი მთაწმინდელის (ათონელის) დაბადებიდან ათას წლისთავს აღვნიშნავთ, დაკნინებულ, დამცირებულ სამშობლოში იუბილეს ვუხდით XI საუკუნიდან გადმოსულ მოღვაწეს, კიდევ ერთხელ ვიხსენებთ მის ცხოვრებასა და ღვაწლს... იქნებ, იმ დიდთა მამათა „წყალი გადმოგვესხას“ დღევანდელ ქართველებს...**

ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა შორის, უბადლო ნიჭითა და გაკეთებული საქმეებით ვარსკვლავივით ბრწყინავს გიორგი მთაწმინდელის — მწერლის, მთარგმნელის, ეროვნული კულტურის დიდი მოამაგის, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრის, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა სამეცნიერო, ლიტერატურული საქმიანობის სულისჩამდგმელის სახელი.

იგი იყო დიდი პატრიოტი, რომელსაც არასდროს ავიწყდებოდა სამშობლოს ინტერესები, მან საქართველოს სახელი და დიდება შორს გაიტანა დასავლეთში, მისი წყალობით მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ქართველებს მსოფლიო აზროვნების ყველა მონაპოვარი ჰქონდათ მშობლიურ ენაზე, რამაც დიდი როლი შეასრულა იმდროინდელი საქართველოს საეკლესიო და საერო ცხოვრებაში. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ბევრი დაწერილა და, მით უმეტეს დღეს — მისი დაბადების 1000 წლისთავზე შესანიშნავი ნაშრომები იბეჭდება, რომელთაგან, უთუოდ მიიქცევს ყურადღებას **ვიოლეტა ბალახაშვილის** ექსპრესიით დაწერილი მონოგრაფია **„ღირსი გიორგი მთაწმინდელი“**, რომელიც ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 30-ე წლისთავს. და, მართლაც, თუ დღეს, ჩვენს არეულ-დარეულ დროში, გადაგვარების გზაზე მდგარ ბედკრულ საქართველოში, ოდნავი იმედი მაინც დარჩა ქართველ კაცს ქვეყნის გადარჩენისა, ეს იმედი მიკუთვნილია ჩვენი სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესისადმი, რომელიც დიახაც ღირსი მემკვიდრეა გიორგი მთაწმინდელისა...

მონოგრაფიის ცალკეული თავები გვაცნობს გიორგი მთაწმინდელის ყრმობასა და სიჭაბუკეს, მის ეკლესიურ ცხოვრებას და მზადებას დიდთა საქმეთა საკეთებლად. დარწმუნებული ვარ, რომ ქალბატონ ვიოლეტა ბალახაშვილის მონოგრაფიას გაეცნობა ყველა, ვისაც, სხვადასხვა საუკუნეში აღსრულებული დიდი ეროვნული საქმეები და ამ საქმეებს შეწირული ღვთით მოვლენილი ადამიანების ცხოვრება აინტერესებს.




**ვილენ მარდალეიშვილი**

**განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ**

**სს „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა“ აცხადებს მესამე საჯარო აუქციონს ბირჟის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე.**

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 26 ნოემბერს 12 საათზე ქ. თბილისში, გალაკტიონის ქ. №44-ში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე. 92-34-43, 895-74-40-72.

**თბსბ-ის გენ. დირექტორი**

**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“

99-62-77; 899 32-85-76.

◉ პერიოდიკა

# დემოკრატია და დიქტატურა

**ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მე-10, მე-11 ნომრები**

**(მეცხრე გვერდიდან)**

ჟურნალის მე-11 ნომერში ყურადღებას იქცევს რედაქტორის გვერდზე დაბეჭდილი წერილი **„ჩვენ-ჩვენს ბრძოლის ველზე“**. ავტორი კიდევ ერთხელ სვამს რიტორიკულ კითხვას: შეუძლია თუ არა ხელოვნებას სამყაროს შეცვლა? ძალიან ძნელია უძლურების აღიარება. გამოვა კარგი წიგნი, მაგრამ უზნეობა და ბოროტება კვლავაც იზოგინებენ. **გურამ დოჩანაშვილი** „კარცერ-ლუქსით“ წარმოიდგენდა ზნეობრივი ახალგაზრდების აღზრდას, თუმცა ესეც დონკიხოტურ იდეად დარჩებოდა. **როსტომ ჩხეიძე** იხსენებს გამოჩენილ მწერალთა გულდაწყვეტას ამის გამო და სკეფსისის ბეწვის ხიდზე გაივლის, მაგრამ არ ჩაუწყდება და დაასკვნის, რომ მწერლობამ თავის საქმეს უნდა უერთგულოს. ყველამ თავის სფეროში, თავის ბრძოლის ველზე უნდა მოიგოს ომი.

XX საუკუნის 40-ან წლებში ამერიკაში ქართველი ემიგრანტის **გიორგი პაპაშვილის** რომანი **„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“** ბესტსელერად იქცა. რომანი მრავალ ენაზე ითარგმნა და ჰოლივუდში ფილმიც გადაიღეს. როგორ მოხვდა ეს ქართველი ამერიკაში, რა გზა განვლო ჩრდილიდან პოპულარობამდე, ამ საინტერესო მოვლენის შესახებ დაწვრილებით საუბრობს **რუსუდან ნიშნიანიძე** წერილში **„ამერიკული ბესტსელერის ქართველი ავტორი“**.

ჟურნალი იწყებს საინტერესო, სხარტი, ექსპრესიული ანკეტების გამოქვეყნებას, რომელიც პრუსტის ანკეტის სახელწოდებითაა ცნობილი. ჩვენი დროის სახელგანთქმული და თავიანთი საქმის პროფესიონალები უპასუხებენ მსუბუქ, მახვილგონივრულ, ერთდროულად სერიოზულ-ირონიულ ბლიცკითხვებს. ამჯერად გიორგი კეკელიძე „ავსებს“ ამ თავშესაქცევ ანკეტას, რომლის ღირსება ის არის, რომ გამოირჩევა ორიგინალური კითხვებით, მაგალითად, შეკითხვაზე: თუ ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვაო, — პოეტი პასუხობს: „პირველ რიგში, გავოცდებოდი და ვეტყოდი: ნამდვილად არ გელოდით აქ. პასუხი ღმერთის წარმომავლობაზე და ხასიათზე იქნება დამოკიდებული“.

როგორ შეიძლება შევცვალოთ ყოველდღიური რუტინა? როგორ გავექცეთ ერთფეროვნებას? ამ კითხვებზე პასუხის ძიებაა **ხათუნა თავდგირიძის** მოთხრობაში **„დონ მანუელი და ოქროს თევზი“**. ავტორი საინტერესო მთხრობელად წარმოგვიდგება. იგი ჩვეულებრივი ობივატელის ცხოვრებას ხატავს და წარმოაჩენს ოცნებათა რეალობაში განხორციელების ორიგინალურ გზას.

**ნოდარ ადეიშვილის** ლექსების თემებია: ერთგულება, მოლოდინი, მოვალეობა. ეს ტრადიციული ღირებულებებია და ამ სათქმელს სრულიად შეესაბამება რითმიანი ლექსის ფორმა. სევდიანი ტონალობით არის გამთბარი პოეტის გულიდან წამოსული სტრიქონები: „ისევ ის სითბო ახლავს წერილებს, ვარდებს, ამოყრილს ცისკრის უბიდან“.

შეხვდებიან თუ არა აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთს? ამ კითხვის საპასუხოდ არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები დაიწერა, მათ შორის, **რადიარდ კიპლინგის** ცნობილი ბალადა. **პაატა ჩხეიძე** სწორედ კიპლინგის შემოქმედების თავისებურებებზე საუბრობს წერილში **„ბალადა ორ სამყაროზე“**.

**ლია რუხაძე** ეხმაურება **იზოლდა გრძელიძის** მიერ თარგმნილ კრებულს „თანამედროვე არაბული პროზის მცირე ანთოლოგია“, რომელშიც აღმოსავლეთის ცხრა ქვეყნის მწერალთა ნაწარმოებებია წარმოდგენილი.

**ნათია სიხარულიძე** წერილში „ორი ეტიუდი გალაკტიონზე“ ორი ცნობილი ლექსის „დროშები ჩქარა“ და „ოდესღაც სადღაც“ ორიგინალურ ინტერპრეტაციებს გვთავაზობს.

ცნობილი ხალხური ლექსის **„ბინდისფერია სოფელის“** ბოლო სტროფი გრიგოლ აბაშიძეს ეკუთვნის. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს? ამის თაობაზე მსჯელობს **ამირან არაბული** წერილში „დასასრული ლექსისა „ბინდისფერია სოფელი“ და სხვა“. აქ არის საინტერესო ანალიზი ხალხურ პოეზიაში ლიტერატურიდან დალექილი სხვადასხვა ფენისა.

**ირმა რატიანმა** ორიგინალიდან შთამბეჭდავად თარგმნა იაპონური პოეზიის შედევრები, თავმოყრილი კრებულში „ასი უძველესი იაპონური ლექსი“, იაპონელთა საუნჯედ აღიარებული. ამ საქმეს მან ათეული წელი მოანდომა და მართლაც ღირებული და საშვილიშვილო საქმე გააკეთა. ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიმართა სწორედ ამ ახალი თარგმანების განხილვა. შეხვედრის რეპორტაჟს გადმოგვცემს **ეკა ბუჯიაშვილი** წერილში **„სანთლები“ იაპონური მისტერიიდან“**. გამომსვლელებმა ისაუბრეს ირმა რატიანის მიერ ნათარგმნი პოეტური ნიმუშების ღირსებებზე.

**ედუარდ ლიმონოვის** ნოველაში **„ქართველი მზეთუნახავი — შთაგონება პოეტისა“** საუბარია ქართველ ლამაზმან სალომე ანდრონიკაშვილზე, რომელსაც ცალმხრივი, გაუმხელელი სიყვარულით ეტრფოდა ოსიპ მანდელშტამი და ლექსიც მიუძღვნა. ლიმონოვი ახერხებს შთამბეჭდავად გადმოსცეს ხანდაზმულ სალომესთან ლონდონში შეხვედრა. მწერალი სალომეს უსვამს შეკითხვას: „რა ხდება, როდესაც ბერდები, რა ემართება სულსა და გონებას?“. ქალბატონი პასუხობს: „სურვილთა და შესაძლებლობათა შეუსაბამობა ნიშნავს ჩემი სიბერის ტრაგედიას“ (მოთხრობა რუსულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო **თამაზ ნატროშვილმა**).

**მაია ჯალიაშვილი** ეხმიანება როსტომ ჩხეიძის ახალ წიგნს **„მზის შვილები“**, რომელიც შარშან დაიბეჭდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე. **თემურ ჯაგოდნიშვილი** კი წარმოაჩენს ლია კუხიანიძის წიგნის **„ოთარ ჩხეიძის პროზის რამდენიმე ასპექტი“** ღირსებებს.

ჟურნალის შიდა ყდებზე ახლადგამოცემული წიგნების გაცნობაც შეუძლია მკითხველს. კიდევ ერთი დეტალი — ყოველ ნომერში დევს მწერალთა პორტრეტების პოსტერები. ასე რომ, ეს მცირე მიმოხილვაც მკაფიოდ წარმოაჩენს ამ ჟურნალის მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს.




**მაია ჯალიაშვილი**

◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ II მსოფლიო ომში დაღუპულის ქვრივი. ვიღებ პენსიას მეუღლის ომში დაღუპვის გამო და 22 ლარს გადასახადების დასაფარავად. მეზობელმა მითხრა, მეტი გეკუთვნისო, მართლა ასეა?**

**ნანული თავართქილაძე**

**პასუხი:** თქვენ, როგორც II მსოფლიო ომში დაღუპული მეუღლის ქვრივს, საყოფაცხოვრებო სუბსიდია — თვეში 22 ლარის ოდენობით, კანონის შესაბამისად, სწორად გეძლევათ.



* * *

**კითხვა: როგორც ჩვენთვის იყო ცნობილი, საქართველოს მოსახლეობის გარკვეული კატეგორია სარგებლობდა შეღავათით ელექტროენერგიის გადასახადის დროს. ამ საკითხზე მოქმედებდა გარკვეული წესი — ვის რამდენი კვტ/საათი შეეძლო მოეხმარა უფასოდ, რაც ელექტროენერგიის გადასახადის გადასახდელადაც არ კმაროდა. გთხოვთ, გვაცნობოთ, ნამდვილად გაუქმდა თუ არა ადრე მოქმედი წესი, ვისი გადაწყვეტილებით და როდიდან?**

**ოთარ შენგელია**

**პასუხი:** ელექტროენერგიის შეღავათით სარგებლობის ზემოაღნიშნული წესი ძალადაკარგულად არის ჩათვლილი საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით.

* * *

**კითხვა: ამ ბოლო დროს ხშირად ახსენებენ „საყოფაცხოვრებო სუბსიდიებს“, მაგრამ სრულყოფილად არ ვართ გარკვეული მის არსში, რომელი ორგანოა უფლებამოსილი, გაგვარკვიოს ვის რა სუბსიდია გვეკუთვნის გადასახადების დასაფარავად.**

**ელისაბედ ნამორაძე**

**პასუხი:** 2007 წლის 1 ივლისამდე საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ხოლო 2007 წლის 1 ივლისიდან ზემოაღნიშნული სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — სოციალური სუბსიდიების სამსახური.

* * *

**კითხვა: ვისი დადგენილებით ხორციელდება სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამა?**

**გოგი ჭკადუა**

**პასუხი:** სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამა ხორციელდება „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

* * *

**კითხვა: 10 წელია, ვმუშაობ შპს-ში მაღალ ხელფასზე, ჩამეთვლება თუ არა აღნიშნული შრომის სტაჟში?**

**მირიან შველიძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, კერძო სტრუქტურაში მუშაობა შრომის სტაჟში ჩაგეთვლებათ.

**კითხვა: ვმუშაობ ერთ-ერთ დაწესებულებაში მთავარ ბუღალტრად, ადრე ჩვენი დაწესებულების ზემდგომი ორგანოებიდან ვიღებდით სათანადო განმარტებებს საავადმყოფო ფურცლის ან ორსულობისა და მშობიარობის გამო კუთვნილი თანხების ანაზღაურების შესახებ. ახლა კი არავინ არაფერს გვეუბნება. როგორც გავიგეთ, ცვლილებები შევიდა დეკრეტული შვებულების საკითხებში, გთხოვთ, გამარკვიოთ, ვის უნდა მიმართოს ორსულმა დახმარების მისაღებად და რა ევალება დაწესებულებას ამ საკითხის დროულად გადასაწყვეტად?**

**შორენა აბაზაძე**

**პასუხი:** დახმარებისა და კომპენსაციის გაცემის წესში ცვლილებები შევიდა 2006 წლის 29 დეკემბერს. რაც შეეხება თქვენთვის საინტერესო საკითხს: დასაქმებული (მოსამსახურე) დახმარების (კომპენსაციის) მისაღებად საავადმყოფო ფურცელს ასლთან ერთად წარუდგენს დამსაქმებელს (დაწესებულებას) და ითხოვს ანაზღაურებად შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, რის საფუძველზეც დამსაქმებელი (დაწესებულება) ავსებს საავადმყოფო ფურცლის შესაბამის ნაწილს, რომელსაც დაფინანსების განაცხადთან და დასაქმებულის (მოსამსახურის) პირადობის მოწმობის ასლთან ერთად წარუდგენს დამსაქმებლის (დაწესებულების) იურიდიული მისამართის ადგილსამყოფელის მიხედვით — სოციალური სუბსიდიების სამსახურის შესაბამის ფილიალს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

## ყველაფერი ყველაფერზე

### „მიტია, თავს ნუ ირცხვენ, ლექსებს ნუ წერ!“



**ისტორია არაერთ გრაფომანს იცნობს, მაგრამ ზოგი მათგანი მაინც თავისებურად „უკვდავი“ გახდა. უზომოდ მდიდარი გრაფი დმიტრი ხვოსტოვი უამრავ ლექსს წერდა, ნაცნობებსა და ნათესავებს ხომ უკითხავდა და უკითხავდა, მაგრამ მისთვის სრულიად იოლი იყო მათი წიგნებად გამოცემა, რა თქმა უნდა, ლამაზად გადაკვრა და შემდეგ უამრავი ცალის (ცხადია უფასოდ) დარიგება.** გრაფი ძალიან პურმარილიანი კაცი იყო და ძალიან უხაროდა, როცა გენიალურ პოეტს უწოდებდნენ. მისმა სიმამრმა, გენერალისიმუსმა ალექსანდრ სუვოროვმა სიკვდილის წინ მაინც აწყენინა: „მიტია, თავს ნუ ირცხვენ, ლექსებს ნუ წერ!“

„აზოდებს“ – ასეთი იყო გრაფის პასუხი.

### წიგნის სხვადასხვანაირი ქურდები

**წიგნის ქურდებს პირობითად ორ ჯგუფად ყოფენ. ერთნი ამას წიგნის დიდი სიყვარულით აკეთებენ, მეორეებმა კი იციან მისი ფასი და, უბრალოდ, გასაყიდად იპარავენ.**

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი ხნიერი კაცი ყოველდღე დადიოდა ქ.ჰალეს ბიბლიოთეკაში, სადაც გატაცებით კითხულობდა 1522 წელს გამოცემულ ბიბლიას, რომელიც 100 ათას მარკად იყო შეფასებული. კითხულობდა და ბოლოს მოიპარა კიდეც, რათა ეს სიამოვნება უკვე საშინაო პირობებში მიეღო.

მრავალი ბუკინისტი თავის კლიენტებს ახლოს, სახელითა და გვარით იცნობს. როცა ისინი წიგნებს იპარავენ, თითქოს ვერც კი შეამჩნიეს, მეორე დღეს კი მას ანგარიშს უგზავნიან, რომელსაც ქურდი მყისვე ანაღდებს.

### კურიოზი და ასეთი?

**ფრანგმა გეოგრაფმა მალტ-ბრენმა (1775-1826წ) ერთი მთის აღწერისას მიუთითა მისი სიმაღლეც – ზღვის დონიდან 36 000 ფუტი. ასოთამწყობს ამდენმა ნულმა, ეტყობა, გონება აურია და პირველი კორექტურისას მთა მკვეთრად ამაღლდა – 360 000.** ავტორმა, როცა ტექსტს კითხულობდა, ეს ზედმეტი ნული მყისვე წაშალა, მაგრამ ასოთამწყობმა შეცდომით გაუგო მას და მთის სიმაღლემ უკვე 3 600 000-მდე აიწია. ავტორი ძალიან გაბრაზდა და მეორე კორექტურას გვერდზე დააწერა: „36 მილიონი ვირი! მე ხომ 36 000 ფუტი დავწერე!“ შემდეგი კორექტურა ავტორს უკვე აღარ მიუტანეს. ძნელი სათქმელია, ამწყობს კვლავ შეეშალა, თუ, უბრალოდ, შური იძია, უკვე დაბეჭდილ წიგნში კი ასე ეწერა: „ყველაზე მაღალი მთა, სადაც 36 000 ვირია, ზღვის დონიდან 36 მილიონი ფუტის სიმაღლეზეა“.

### რა მემკვიდრეები გაამრავლა!

**გერმანელმა მეცნიერებმა შეისწავლეს ალკოჰოლიზმის შედეგად ჭკუაზე შეშლილი ვინმე მაქს იუკეს შთამომავლობა, და, დახეთ, რა შედეგი მიიღეს: მისი მემკვიდრეებიდან 75 წლის მანძილზე 200 კაცი ქურდი და მკვლელი გამოვიდა, 280 უბედური ადამიანი იყო, ბრმა, ჭლექიანი. თანაც ნამდვილი იდიოტი, 90 მეძავი ქალი და 300 ბავშვი, რომელიც ადრე მოკვდა.**



ტარგეს წიგნში „ალკოჰოლიზმის მემკვიდრეობითობის“ შესახებ მოყვანილია რამდენიმე საინტერესო ფაქტი. ფრანგ მწერალ დიუფეს ოთხი ძმა სასტიკად გალოთდა. აი იმის შედეგებიც: უფროსი ძმა წყალში გადახტა და დაიხრჩო, მეორემ თავი ჩამოიხრჩო, მესამემ ყელი გამოიჭრა, მეოთხე კი მესამე სართულიდან გადმოხტა და მოკვდა.

ასეც ხდებოდა: სრულიად ჯანსაღი მამაკაცები, ცოტაოდენს რომ დალევდნენ და ცოლთან ურთიერთობას დაამყარებდნენ, სწორედ ამ ცოტაოდენი ალკოჰოლის შედეგად ზნედიანი, პარალიზებული, შეშლილი, იდიოტი ბავშვების მშობლები ხდებოდნენ.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## სულიერება

### 100 000 მოწამე, რომლებიც ხვარაზმელებმა თბილისში აწამეს



**13 ნოემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს 100 000 წმინდანს, რომლებიც თბილისში 1227 წელს ხვარაზმელებმა აწამეს.**

...ხვარაზმელი ჯალალედინი საქართველოში შემოიჭრა. სულთანმა მოარღვევინა სიონის ტაძრის გუმბათი, გამოატანინა ტაძრიდან მაცხოვრისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები, დაასვენებინა ხიდზე და უბრძანეს ქართველებს: „დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა“. ვინც ამას არ აღასრულებდა, „წარკუეთა თავთა“ ელოდა.

100 000 ქართველი შეეწირა ამ დღეს წმინდა ხატების თაყვანისცემას და სარწმუნოების დაცვას.

სრულიად საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სამღვდელოებასთან ერთად მეტეხის ხიდთან, მათ ხსენებას განსაკუთრებულად აღნიშნავს.

**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი — 13 ნოემბერი

**23-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი.**

**ხსენება წმიდათა ათთა ბევრთა (100 000წ მოწამეთა თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულთა (1227წ; მოციქულთა: სტაქოსი, ამპლისა, ურვანოსისა, ნარკისისა, არისტობულესი – სამეოცდაათთაგანთა (Iწ; მოწამე ეპიმაქოსი (დაახლ. 250წ; ღირსი მავრასი (Vწ.**

### დაიბადნენ:

**1850 – რობერტ სტივენსონი,** ინგლისელი მწერალი, გარდაიცვალა 1894 წელს.

**1874 – მარგარეტ ლონგი,** გამოჩენილი ფრანგი პიანისტი, გარდაიცვალა 1966 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1868 – ჯოაკინო როსინი,** ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი.

**1903 – კამილ პისარო,** ფრანგი მხატვარ-იმპრესიონისტი.

**1921 – გრიგოლ ყიფშიძე,** მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური კრიტიკოსი.

**1974 – ვიტორიო დე სიკა,** თვალსაჩინო იტალიელი კინორეჟისორი.

### მოვლენები:

**1851 წელი** – გაიხსნა ტელეგრაფული კავშირი ლონდონსა და პარიზს შორის.

**1851 წელი** – მოსკოვსა და პეტერბურგს შორის სარკინიგზო მიმოსვლა დაიწყო.

**ღირსსახსოვარი დღე:**

უსინათლოთა საერთაშორისო დღე.

**მედიანიუსი**

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +8 – +16 |
| ქუთაისი. | +13 – +22 |
| ბათუმი. | +15 – +23 |
| ზუგდიდი. | +14 – +22 |
| თელავი. | +7 – +14 |

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6829 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4841 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7818 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7567 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3545 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0947 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1006 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1262 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4652 ლარი |



## ანეკდოტები

ვინ სცემდა პატივს ღმერთს, მას რომ ერთი სერიოზული შეცდომა არ დაეშვა – არ შეექმნა ადამიანი?

* * *

ადამიანის მოკვლა ერთი სიტყვითაც შეიძლება, მაგრამ ქალები დაბომბვას ამჯობინებენ.

* * *

პეტკა გინესის რეკორდების წიგნში იმიტომ შეიყვანეს, რომ მსოფლიოში ამ წიგნში მოხვედრის ყველაზე ნაკლები შანსი ჰქონდა.



* * *

ყრუ-მუნჯმა პეტკამ თეთრი ზვიგენის ტუჩების მოძრაობით ამოიკითხა, რომ თავისი აღსასრული დამდგარიყო.

* * *

– ძვირფასო, სიხარულისგან გაგიჟდები, როდესაც გაიგებ, როგორი სიურპრიზი მოგიმზადე, – ეუბნება ქმარი ცოლს.

– ჩქარა მითხარი, რა!

– ახალი ვირუსი აღმოვაჩინე და შენი სახელი ვუწოდე.

* * *

ორი რამის ყურება შეიძლება უსასრულოდ – როგორ ბრიალებს ცეცხლი და როგორ აყენებს ქალი მანქანას უკუსვლით.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.